645
1986/4



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

2
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲘ

Დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲘ"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბიბლიოთეკა

სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად

18537

# მესხეთის მიწაზე

„ვაშა, ძმაო ხულოელო, შენ მესხეთს
რომ დაესახლე,
აჭარიდან მოველ სტუმრად, შენი
ეზო-კარი ვნახე,
იცი, განა, რა მახარებს და გულისთქმას
რატომ ვამხელ?
აჭარელიც მესხი იყო, ამას ამბობს
ისტორია,
ყველა მესხი საყვარელი ჩვენეული
თვისტომია,
მომხდურთ ერთად დავხვედრივართ და
ძმებს ერთად გვიომია“.

მამია ვარშანიძე



სოფელ რუსთავის ახალმოსახლეობა

მდორედ, სევდიანად მიედინება მტკვარი თურქეთში, საქართველო კი ეროვნული სიამაყის, გმირი და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის სულიერი ხატის ვარძიის ზემოთ, ახლად აღდგენილ სოფელ მტკვართან (ახჩია-მირაშხანთან) იწყება. აქედან იცვლება მტკვარი. სიხარულითა და სიცოცხლით სავსე ეხეთქება ნაპირებს. უხარია, რომ მის სანუკვარ მესხეთში დამპყრობთა თარეში და ხოცვა-ჟლეტა ბედნიერი ცხოვრებით შეიცვალა. მტკვრის ორივე მხარეს, ასეული წლის წინათ დაცარიელებული ნასოფლარების ადგილზე სიცოცხლემ დაისადგურა. აღსდგა და შეკეთდა დაზიანებული წუნდა, ხერთვისი. თმოგვი ვანის ქვაბები, ვარძია.



სკოლაში საახალწლო ზეიმია

სწორედ მტკვარია ასპინძის რაიონის მადლიანი, ბარაქიანი მიწისათვის სიცოცხლისა და ძალის მომცემი. აყვავდა გავერანებული ბაღ-ვენახები; მაგრამ რაიონის მოსახლეობის თავდადებული შრომა არ ჰყოფნიდა სავარგულების ათვისებას. ამიტომაც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან ჭარბი მოსახლეობის ნაწილის მესხეთში ჩამოსახლების შესახებ. ეს დიდი პოლიტიკური ღონისძიება იყო და მისი განხორციელება 1981 წლის აგვისტოდან დაიწყო. გადაწყვეტილება ითვალისწინებდა აგრეთვე მამა-პაპათა გავერანებული, ქვად და ტერასებად ქცეული ნასოფლარების აღდგენას.




ხულოს და შუახევის რაიონებიდან მამისეულ ფუძეს მალე გამოეყო შავაძეების, ბოლქვაძეების, მიქელაძეებისა და შანიძეების

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახები. ასპინძის რაიონის სოფელ ოშორაში პირველი ბარი დაჰკრა პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. პატიაშვილმა. გაიჭრა საძირკველი აჭარელთა პირველი საცხოვრებელი ბინის მშენებლობისათვის. მას მოჰყვა მეორე, მესამე... დღეს 36 ოჯახი ცხოვრობს ოშორაში მოძმე მესხების გვერდით. ერთად შრომობენ, ერთად იზიარებენ ჭირსა და ლხინს. საკოლმეურნეო მინდვრებში ერთად გარჯამ დააახლოვა ერთმანეთს და სიყვარული ჩაუსახა გულში ოშორელ გიული სახელაშვილსა და აჭარელ ბადრი პაპიძეს, აჭარელ გულთამზე პაპიძესა და ხერთვისელ დავით ქავთარაძეს. ისინი დაქორწინდნენ. დამოყვრდა სტუმარ-მასპინძელთა ოთხი ოჯახი. დამეგობრდნენ და დამეზობლდნენ სოფელ რუსთავისა და ხულო-შუახევის მესხები.

32 ოჯახი დასახლდა რუსთავში. სოფელ რუსთავის რვაწლიანი სკოლა მოსწავლეთა სიმრავლის გამო საშუალო სკოლად გადაკეთდა. ერთად მიუსხდნენ მერხებს რუსთაველი ბერიძეები, წიკლაურები, მელიქიძეები და აჭარელი შავაძეები, კახაძეები, ხმალაძეები, ლომიძეები.

იმატა სოფლის ბარაქამ. ასპინძის რაიონში მოწინავედ ასახელებენ რუსთავის კოლმეურნეობას. ახლად ჩამოსულ მოსახლეობას ყურადღებასა და სითბოს არ აკლებს რაიონის ხელმძღვანელობა. სოფელს მოემატა სასმელი და სარწყავი წყალი. შენდება ბაგა-ბაღის მოზრდილი შენობა. მეოთხე ახალ წელს ხვდება აქ დაბადებული სამი წლის შოთა ხმალაძე.

არც სოფელ ოთის მცხოვრებლებს აქვთ ნაკლები წარმატებები. სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხულოელი გენადი აბულაძე, იბრძვის კოლმეურნეობის ეკონომიკის გაძლიერებისათვის.

სოფელ ხერთვისთან, ტერასებიან და ქვათა გორებით სავსე ნასოფლარზე სიცოცხლე აჩქეფდა. დაარსდა სოფელი გულსუნდა. ატიკტიკდნენ პატარები, აჟრიამულდნენ. 15 კომლიანი სოფელი ხერთვისი კოლმეურნეობას შეუერთდა. მისი სიკარგე კვლავ მოიზიდავს აჭარიდან ნაცნობებსა და ნათესავებს.

მესამე წელია, რაც რაიონული ცენტრიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის დაშორებით, ოსკირიასთან ახლოს დაარსდა სოფელი ივერია. 71 ოჯახიდან აქ უკვე 42-მა ოჯახმა აიშენა ორსართულიანი ბინა და სამუდამოდ დაფუძნდა. დანარჩენებიც მონდომებით მუშაობენ ბინათმშენებლობაზე. მათ ხელს უწყობს ის, რომ სოფელი უზრუნველყოფილია წყლით. აშენდა დაწყებითი სკოლა, ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მაღაზია, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი. შენდება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა (280 ბავშვისათვის).

ივერიელებს ეამაყებათ, რომ მაშინ სოფლის პირველი მოსახლის ნადიმ ჩოგაძის ბინის საძირკველში პირველი ქვა ჩადო რაიონში სტუმრად მყოფმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ. პარტიის ამ დიდი ზრუნვის პასუხად, რომლის უმაღლესი მიზანია ადამიანის კეთილდღეობის ზრდა, კვლავაც ენერგიულად შრომობენ ივერიელები, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში. მდინარე მტკვრის სანაპიროზე, ნასოფლარ ახჩიისა და მირაშხანის გავერანებულ მიწაზე ადამიანები ახმაურდნენ. ხულო-შუახევის მესხებმა 1983 წელს აქ საცხოვრებელი ბინის საძირკველი გაჭრეს, მიწა გააცოცხლეს. გულს ახარებს აქაურობა. სოფელ მტკვარში 70 ოჯახი სახლობს, რომელთა უმრავლესობას ორსართულიანი ლამაზი ბინა აქვს. გახრიოკებულ მიწაზე ნარგავები აშრიალდა, ბოსტნები აბიბინდა. ოქროსფერმა შემოდგომამ უხვი მესხური მოსავალი მოგვცა.

ენერგიულად შრომობენ მტკვარელები ნიალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ასპინძის რაიონში. თანდათან მხრებს შლის, მშვენიერდება სოფელი მტკვარი.

ახალი სოფლების დაბადებასთან მრავალი საკითხია დაკავშირებული და ყოველი მათგანის გადაწყვეტა არც თუ ისე იოლი საქმეა. პარტიის ასპინძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებებით ბევრი რამ გაკეთდა ახალმოსახლეთა ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის. რუსთავის, ოთის და ოშორის ახალმოსახლეთა უბნებში, ივერიაში, გულსუნდასა და მტკვარში გაიყვანეს გზები, სასმელი და სარწყავი წყლები, აქვთ ელექტროენერგია, გაზი, რადიო, ტელეფონი, ტელევიზორი. ოშორაში აშენდა საშუალო სკოლის შენობა.

ბევრი რამ კეთდება ახალმოსახლეთა კარგი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზებულად და მოკლე დროში გადაწყვეტას.

ამჟამად ასპინძის რაიონში 280 ახალმოსახლე ოჯახი ცხოვრობს (970 ადამიანი). ჩამოსახლებულებმა მიიღეს სახელმწიფო გრძელვადიანი სესხი, აშენებენ ბინებს, სათავსებს, აწყობენ ეზო-კარმიდამოს. საამისოდ უზრუნველყოფილი არიან ფონდირებული სამშენებლო მასალით, სახელმწიფო ტრანსპორტით.

მამისეული ფუძისგან მოწყვეტას ვერ გრძნობენ ასპინძის რაიონში დასახლებული აჭარლები: მათ ემსახურებათ ავტობუსი „ასპინძა-ხულო“. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 68-ე წლისთავზე გაიხსნა ახალი სახელმწიფო გზა „ახალციხე-ბათუმი“ (გოდერძის უღელტეხილზე), რომელიც აჭარასა და მესხეთს შეუფერხებლად დააკავშირებს მთელი წლის განმავლობაში.

ასპინძის რაიონი, ვარძიის წმიდათაწმიდა სავანე კვლავაც ელის ახალ მოსახლეობას, ნასოფლარების აღდგენას.

**ნაზი სუდაძე**



ვიოლეტა ჯაფარიძე

ვიოლეტა ჯაფარიძე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანია. მას შესაშური ენერგია გააჩნია. ალბათ ამიტომაც არის მისი მოღვაწეობა მრავალფეროვანი. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა, შემდეგ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის მდივანი იყო, გავიდა ცოტა ხანი და ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. დიდი ამაგი დასდო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, როგორც დირექტორის მოადგილემ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მშრომელებს კარგად ახსოვთ პარტიის ოქტომბრის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების, ხოლო შემდეგ საორგანიზაციო განყოფილების გამგე ვიოლეტა ჯაფარიძე. იგი ორგანიზატორული მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა, როცა პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივანი იყო. საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოღვაწეობა კულტურის სამმართველოს უფროსობით დაიწყო და დღეს კვლავ აქ არის, კვლავ პასუხსაგებ მოვალეობას ასრულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატები



ნაზი ჯანხოტელი

ნაზი ჯანხოტელი ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავია. მან არა მარტო რაიონში, მთელს რესპუბლიკაში გაითქვა სახელი ადგილობრივი ჯიშის ფურების კარგი მოვლით, წველადობის ზრდით, ნამატის ასი პროცენტით შენარჩუნებით, პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებით. არა და სიძნელეებს ეჭიდება იქ, სადაც ზამთარი ექვს თვეს გრძელდება და არც ფერმებია კეთილმოწყობილი. ნაზი ჯანხოტელს ესმის, რომ პარტიის წევრს სწორედ სიძნელეებთან ბრძოლა ევალება. ამ რწმენით გამსჭვალული ყოველწლიურად იმაღლებს ოსტატობას და მოწინავეთა პოზიციებზე მტკიცედ დგას — ძროხების კარგი მოვლა-პატრონობით მათ პროდუქტიულობას ზრდის.



ნანა ჩიტაიშვილი

ნანა ჩიტაიშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ლინოტიპისტია. უშეცდომოდ, მარჯვედ, გულისყურით აწყობს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების მასალებს, და რამდენ ინფორმაციას, რამდენ პუბლიცისტურ წერილს, მხატვრულ ნარკვევს ეცნობა დღეში! რაც მთავარია, სანამ პრესის ფურცლები დღის შუქზე გაიშლება, ნანას ყველაფერი უკვე წაკითხული და გააზრებული აქვს. შესაშური პროფესიაა! უფრო ფართო განათლებისაკენ კი. ბევრი გზა მიდის. ნანა ერთერთს აირჩევს ალბათ და პარტიის ახალგაზრდა წევრი ამ გზას დაადგება.



ლალი გუჯაბიძე

ლალი გუჯაბიძე პატარების მკურნალია. თბილისის მე-10 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი 13 წელია ამ ქვეყნად ყველაზე კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს ამავე პოლიკლინიკის უბნის ექიმად იმუშავა. იმ წლებმა მისცა დიდი გამოცდილება და ბევრი თავსატეხისა და გასაჭირის დაძლევის უნარი. ლალი მთავარი ექიმის მოადგილედ დაწინაურდა სამკურნალო დარგში, შემდეგ კი პოლიკლინიკის მთავარი ექიმობა მიანდეს. დიდმა პასუხისმგებლობამ სიახლეების დანერგვა უკარნახა. ლალის მცდელობის შედეგად დაიდგა ის კომპიუტერული სისტემა, რომელიც პოლიკლინიკის ექიმთა არაკვალიფიციურ შრომას ცვლის და ექიმს ბავშვის უკეთ მკურნალობაში ეხმარება. საცურაო აუზი ჩვილ ბავშვთა გასაკაჟებლად არის მოწყობილი. ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის, ლოგოპედისა და ნერვულ სნეულებათა კაბინეტებში ბავშვებს სათანადოდ მკურნალობენ. აქაურ გარემოსთან პირველი ნაცნობობა კი ლამაზი მოსაცდელით იწყება, სადაც ყველა პატარა საკუთარ სამყაროში გრძნობს თავს და შემდეგ მკურნალებსაც გულდამშვიდებით ენდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიას განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია საბინაო პრობლემების გადაჭრის დაჩქარება, რათა 2000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა ოჯახს ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი ბინა ან ინდივიდუალური სახლი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბინაო მშენებლობის ხარისხს, კომფორტულობის ამაღლებას, დაგეგმარების გაუმჯობესებას, ბინებისა და სახლების ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფას.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან.**

# შუქი ფანჯრებში



ვარკეთილის ახალი უბანი

წვიმს. ხალხი სახლებში შეყუჟულა. ქუჩაში კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ვინმე, ჩქარი ნაბიჯით ჩაივლის და მალევე მიეფარება თვალს.

ვარკეთილი — 3 ახალი დასახლებაა. კახეთის გზატკეცილიდან მარცხნივ რომ გადაუხვევ და ჯავახეთის ქუჩას აღმა აუყვები, ჯერ ზემო პლატო გამოჩნდება, მერე ვარკეთილი — 3, რომც არ იცოდე, მაინც მიხვდები, რომ იგი ახალი დასახლებაა.

რა მიგახვედრებს? აყრილ-დაყრილი, ჯერ კიდევ მოუწყობელი გზები, თუ ნახევრად დაუმთავრებელი, სალებავშეუმშრალი შენობები? არც ერთი და არც მეორე.

ვარკეთილი — 3 ახალიც არის და ახლებურიც. ამ ნათქვამში ეჭვიც არ შეგეპარებათ, როცა ნახავთ, მის ფართო, გადატკე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცილ გზებს, გაჩახჩახებულ ქუჩებს, ქათქათა, მოპირკეთებულ შენობებს, სასპორტო და სათამაშო მოედნებს, დიდი გემოვნებით შექმნილ მცირე არქიტექტურულ ფორმებსა და გამწვანებას.

ახლა წვიმს. ვარკეთილელები კანტიკუნტად გამოდიან გარეთ. განათებული ფანჯრები კი იმაზე მიგანიშნებთ, რომ წვიმიან საღამოს შინ ყოფნასა და ოჯახურ მყუდროებას ამჯობინებენ.

მაშინ ცოტა მოვიცადოთ. ნუ მივუკაკუნებთ კარებზე და ნუ დავურღვევთ მყუდროებას. ამ პატარა მაღაზიაში კი, რომლის ვიტრინებიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი დასახლება, აუცილებლად შემოვა ვინმე.

თუმცა ჩვენთვის სულერთი მაინც არ არის, ვინ იქნება ის შემოსული. ბინის, შენობისა და ეზოს ავ-კარგზე ყველაზე უკეთ ოჯახის დედას, დიასახლისს შეუძლია ილაპარაკოს. სხვებზე მეტად მას აწუხებს ფართობის სიმცირეც, ოთახების მოუხერხებელი განლაგებაც, მოუწყობელი ეზოებიც და სავაჭრო ობიექტების სიშორეც. ჰოდა, ჩვენც ქალს დაველოდოთ!

— აქ ცხოვრობთ!

— დიახ, ოცდამეხუთე კორპუსში!

— რა გვარი ბრძანდებით? სად მუშაობთ?

— როზა ბურდული. აქვე ახლოს ქართული თონე გვაქვს, იქ ვმუშაობ პურის მცხობლად.

— როგორ მოგწონთ თქვენი ახალი ბინა, თუ ხართ კმაყოფილი?

— მომწონს, რომ გითხრათ, ცოტა იქნება. ძალიან მიხარია. აქ რომ მოვხვდი, ამ უბანში. ვიდრე ამ ბინას მივიღებდით, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით. სამზარეულო ცოტა მოშორებით გვქონდა, ისეთი, თავვი კუდს ვერ მოიქნევდა. სადილს რომ გავაკეთებდი, უნდა გამომეზიდა ყველაფერი ოთახში, მერე ალაგებისას ისევ უკან გამეტანა. ძალიან ვწვალობდი. ახლა ყველაზე უფრო ის მიხარია, რომ ჩვენს ბინას დიდი და ფართო სამზარეულო აქვს. კარადაც მიდგას, მაცივარიც, მოზრდილი მაგიდაც. საღამოობით, როცა ყველანი შინა ვართ, შემოვუსხდებით გარშემო და ისე ვსადილობთ. ოთახებიც საკმარისი გვაქვს, ლოჯიაც, მაგრამ დიდი სამზარეულო მაინც სხვა არის.

ვარკეთილის დასახლებას ძირითადად „თბილქალაქმშენის" მეორე სახლმშენებელი კომბინატი აშენებს. ვისაც მისი აშენებული სახლები უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ეს არის ახალი სიტყვა თბილისურ ბინათმშენებლობაში. არატიპიურ, უცხო პროექტით ნაგებ კორპუსებში ბინების საშუალო ფართი გაცილებით დიდია, ოთახთა განლაგება ბევრად მოხერხებულია და რაც მთავარია, ყველაფერი მაღალხარისხოვნად არის შესრულებული. ყოველგვარი რემონტისა და შეკეთებების გარეშე აქ მშვიდად იცხოვრებს ადამიანი. კორპუსებს ფასადებზეც ეტყობა, რომ უნაკლოდ, ხარისხიანად არის ნაგები.

მეორე ქალი, ვინაც მაღაზიაში შემოიხედა, მარინე ჯავახია გახლავთ, ისიც აქ ცხოვრობს და ბაგა-ბაღის მასწავლებლად მუშაობს.

— ჩემი ოჯახი დიდია, მრავალრიცხოვანი. პატარებიც გვყავს, ჩემი ძმისშვილები. ალბათ არ გაგიკვირდებათ თუ ყოველდღე რეცხვა გვიხდება. ახლა აღარ გვაწუხებს პრობლემა, სად დავკიდოთ, სად გავაშროთ, როცა გარეთ წვიმს ანდა საშინელი ქარია. ყველა სართულს საკუთარი საშრობი აქვს, ფართო და მოხერხებული. ეგეც არ იყოს, როცა ავდარია და აღარ ვიცით ბავშვები შინ რითი გავართოთ, ჩავაცმევთ თბილად და გამოვუშვებთ გარეთ. თამაშობენ თავიანთთვის და ჩვენც მშვიდად ვსაქმიანობთ, რაკი ვიცით, რომ სუფთა ჰაერზეც არიან და სახიფათოც არაფერია.

შარშანდელი თბილისობა მაინც განსაკუთრებული იყო ვარკეთილის დასახლების პირველი მიკრორაიონისათვის. „თბილქალაქმშენმა" და კეთილმოწყობის სამმართველომ ამ დღისთვის ისეთი საჩუქარი მიართვეს აქაურებს, ყველა თბილისელი რომ ინატრებდა. სწორედ მაშინ დამთავრდა ამ უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები და ვარკეთილიც ისეთ ზღაპრულ ადგილს დაემსგავსა, რომლის სადარსაც ჩვენს ქალაქში ძნელად თუ მოძებნით. აქაურ მცხოვრებლებს არაფრისთვის არ სჭირდებათ ცენტრში გამოსვლა; აქ თავმოყრილია ყველა სახის, ყოველგვარი დანიშნულების სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, აქვეა სკოლა, საბავშვო ბაღი, სასპორტო, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი, დეკორატიული კუთხეები და ეს ყველაფერი შესრულებულია ესთეტიკურად მაღალ დონეზე. უზადოა ვიტრინების გაფორმება, რეკლამები, მცირე არქიტექტურული ფორმები, გარე განათება.

ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, თუ აქაურ დიასახლისებს საწუწუნო და საჩივლელი არაფერი აქვთ.

ჩვენი მესამე მოსაუბრე ნანა ჯაში გახლავთ.

— მეოცნებე ქალი გახლავართ და ამ ადგილსაც ცოტა სხვა თვალით ვუყურებ. ჩვენ ყველა ახალ თბილისურ დასახლებაში მივეჩვიეთ ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ, ახლოახლო ჩამწკრივებულ კორპუსებს. ძირს რომ დადგები, ასე გგონია, სული გეხუთება. ვარკეთილი ისედაც მაღლობზე, ზეგანზეა გაშენებული, მერე შენობებიც იმგვარად არის განლაგებული, ისეთი სივრცის შეგრძნებაა, ისეა ყველაფერი გაშლილი, არ შეიძლება რაღაც აღმაფრენა არ დაგეუფლოთ. მე ძალიან მიყვარს ამ ფართო ქუჩებში სეირნობა და საერთოდაც, ძალიან მომწონს აქაურობა.

წვიმს, ბინდში გახვეულა დასახლება. გარეთ იშვიათად თუ გაივლის ვინმე, ისიც აჩქარებული ნაბიჯებით, რათა მალე შეაფაროს თავი მყუდრო ბინას.

მაღალი კორპუსებიდან სინათლე იღვრება. ყველანი სახლებში არიან. შუქი კრთის ფანჯრებში.



დ. იაკობაშვილის ფოტო

მანანა მაზიაშვილი

ყველა ხუთწლედის მონაწილე



# ორმოცდათხუთმეტი წელი ერთ საწარმოში

ბევრია ეს თუ ცოტა? თუ ქალის, დედის, ბებიის შრომითს მოღვაწეობასაც გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, ეს დიდი დროა. მაგრამ პატივცემულ მარო ჩემინავას რომ ჰკითხოთ, სამყაროს და სიცოცხლის უსასრულობაში, სადაც ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი ადგილი, სიხარული, დარდი და მომავლის იმედი აქვს, თვალის ერთი გაელვებაა, ესე იგი, არც ისე ბევრია.

თითქოს გუშინ იყო ჯოლეჯიანში, ზუგდიდის საქალაქო ცენტრიდან მესამე კილომეტრზე ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობას რომ ჩაეყარა საფუძველი.

— 1928 წლის 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ჯოლეჯიანის მინდორზე გამოეფინა დიდი და პატარა, — იგონებს პატივცემული მარო. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლობაც იქ იყო. ერთმა ჟარბაისელმა კაცმა, როგორც შემდეგ შევიტყე, პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანმა ერთ ადგილას ორმო ამოთხარა, შიგ ქვა ჩადო, ისევ მიწა მიაყარა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— აქ აშენდება ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი!

აღტაცებული შევყურებდი დროშას, რომელიც სამაზრო კომიტეტის მდივანმა ახლად გათხრილ მიწის ნაყარზე დაარჭო, მაშინ მტკიცედ გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო კომბინატის მშენებლობაში.

— დაუვიწყარია ჩემთვის 1930 წლის 25 ივნისი, როცა საშუალო სკოლა დავამთავრე და იმავე დღეს დავიწყე მუშაობა ჯერ კიდევ მშენებარე საწარმოში, — ამბობს ძველი მუშა.

პირველ ხანებში, ცხადია, ყველაფერი ჭირდა. არც მუშახელი იყო საკმარისი, არც სპეციალისტები. ყველაფერი ენთუზიასტების, ძირითადად ახალგაზრდების ხელით კეთდებოდა, რომელთაც რუსეთიდან მოწვეული ამხანაგები ეხმარებოდნენ. ქალიშვილები არ ჩამორჩებოდნენ ვაჟკაცებს, მათთან ერთად წმენდნენ სამშენებლო მოედნებს, გაჰყავდათ გზები, წყალსადენი არხები. საჭირო იყო აგური და ახალგაზრდები აგურის ქარხნის ღუმელებთან დადგნენ, აქაც პირველობისათვის იბრძოდნენ და თავიც გამოიჩინეს. მათ შორის მარო ჩემინავა ერთ-ერთი პირველი იყო. მარო დღითიდღე უკეთესად მუშაობდა, გამოცდილებას იძენდა. მისი სურათი საპატიო დაფას ამშვენებდა.

1934 წელს მარო კომკავშირული საგზურით თბილისში საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელთა 6-თვიან კურსებზე მიავლინეს. სწორედ მარო ჩემინავა იყო მშენებარე ენგურქაღალდკომბინატის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღის პირველი გამგე. უხარია, რომ სკოლამდელთა აღზრდის ეს თვალსაჩინო კერა დღესაც მოწინავეა ქალაქ ზუგდიდის სხვა ბაგა-ბაღებს შორის.

მხოლოდ სამი წელი იმუშავა ამ უბანზე. ქაღალდის ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები ახლოვდებოდა, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი იზრდებოდა. მარო ჩემინავას ახლადშექმნილი სამკითხველო-ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზება დაევალა. იმავე 1937 წელს მარო ენგურქაღალდკომბინატის მშენებლობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესა და ორგანიზატორზე ვლადიმერ ჩემინავაზე გათხოვდა.

— საოცრად შემცვალა 1941 წელმა, — იგონებს პატივცემული მარო. — დაიწყო დიდი სამამულო ომი და პირველსავე დღეს ფრონტზე წავიდა ჩემი ორივე ძმა. წავიდნენ და აღარც დაბრუნებულან. ფრონტზე წავიდა მეუღლეც.

შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა ბიბლიოთეკაში მუშაობის პარალელურად ფიზიკური საქმიანობა დაეწყო ექვსი თვის წინ ამუშავებულ კომბინატში, რომელიც ქაღალდის ნაწარმს აღარ უშვებდა და ფრონტისათვის მუშაობდა.

სხვას, ასეთ მძიმე ჟამს, იქნებ მხოლოდ ორი მცირეწლოვანი ბავშვის და საკუთარი თავის გატანაზე ეზრუნა. მარო კი სხვაგვარად ფიქრობდა: დღეღამეს შრომაში ასწორებდა, შვილებსაც ზრდიდა, ფრონტსაც ეხმარებოდა. ის კი არა, 1946 წელს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეუღლე ჯარიდან რომ დაბრუნდა, ორსართულიანი სახლი გადახურული დაახვედრა, სადაც დღეს ასე ბედნიერად ცხოვრობს ისიც და მისი შუათანა შვილი იურიც მეუღლით და შვიდი შვილით.

— ძალიან მიჭირდა... — თვალებში იმ დღეთა სევდის ანარეკლი გამოუკრთის ქალბატონ მაროს. — განა მარტო მე? ყველას უჭირდა. მაგრამ მხარში ვედექით ერთმანეთს. კომბინატის მაშინდელი დირექტორი, აწ განსვენებული ბესარიონ ჯანაშია, როგორც სახელმწიფო საქმეებისათვის, ისე ჩვენთვის თავდავიწყებით ზრუნავდა, გვამხნევებდა, გვეხმარებოდა რითაც შეეძლო. სწორედ ერთმანეთის მხარში დგომით, მძიმე, მაგრამ ორგანიზებული შრომით მიზანს მივაღწიეთ: მტერზეც გავიმარჯვეთ და ოჯახებიც ნამუსიანად შევინახეთ.

მეუღლე ჯარიდან რომ დაბრუნდა, ორ შვილს — ლეილასა და იურას მესამე — მურმანი შეემატა. თითქოს არაფერი ედგა წინ ბედნიერ ცხოვრებას, ტრაგიკულმა შემთხვევამ, რომელიც ახალი, 1948 წლის წინა ღამეს მოხდა, მაროს მეუღლე, ქართველ მექაღალდეთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, კომუნისტი ვლადიმერ ჩემინავა შეიწირა.

სახელს, მოპოვების გარდა, გაფრთხილებაც რომ უნდა, ეს კარგად იცოდა ქალბატონმა მარომ და, შვილებიც სახელოვანი მამის ღირსეულ მემკვიდრეებად რომ აღეზარდა, ფიზიკურ სამუშაოზე გადავიდა. ალალი ლუკმით დაზარდა სამივე, რომელთაგან უფროსი, ლეილა — ორი სტუდენტი ქალიშვილის დედა სამედიცინო დარგს ემსახურება; იური — შვიდი შვილის მამა — ენგურქაღალდკომბინატის სარემონტო-მექანიკური საამქროს მოწინავე უბნის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი და ხელმძღვანელია, მურმანი — განათლებით აგრონომი, სამი შვილის მამა, განაწილებით ნოვოჩერკასკის მხარეში გაგზავნეს და იქ საქართველოს სახელს არ არცხვენს.

შრომისა და კომუნისტური პარტიის ვეტერანს მარო კემულარია-ჩემინავას 1985 წლის 25 მაისს ენგურქაღალდკომბინატში მუშაობის ორმოცდათხუთმეტი და სკკპ რიგებში ყოფნის ორმოცდახუთი წელი შეუსრულდა. ეს იუბილე გულთბილად მიულოცეს გოფრირებული მუყაოს დამამზადებელი საამქროს მშრომელებმა, პარტიულმა ორგანიზაციამ, კომკავშირელებმა. სახელდახელო შეკრება და მილოცვის სიტყვები ისეთივე სადა და უპრეტენზიო იყო, როგორიც მარო ჩემინავას შეგნებული ცხოვრება: ალალი, გულწრფელი, საქმიანი და სამაგალითო.

გ. ცქიტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევ-ნიკო

ნამდვილი ამბავი

მხატვარი ნანი შალიკაშვილი



ბინდშეპარულ შარაზე იდგა და ზურგზე ბალახმოკიდებული იმ მხარეს იხედებოდა, საითაც მის დანახვაზე გოგომ და ბიჭმა მოკურცხლეს. მანამდე შეასწრო თვალი, ვიდრე დაფრთხებოდნენ, ორივენი ბებერ თელასთან ატუზულიყვნენ.

— ეჰაა... ესეც ასე... გაზრდილა ეს ღმერთძაღლი, ღობიდან გადაფრენილა — შეეხმიანა თავს ივანე. სხვანაირ გაზრდას გულისხმობდა, თორემ გაზრდით, იცოცხლე, თექვსმეტი წლის კვალობაზე ნიკო გაზრდილიყო. სწორი, ბოძივით ძლიერი და გრძელი ფეხები აღარც ტახტზე ეტეოდა და აღარც სკოლის მერხის ქვეშ. წარამარა უკიოდა ქსენია მასწავლებელი: წესიერად დაჯექი, ეგ ფეხები გარეთ ნუ გადმოგიყრიაო.

— სად წავიღო მასწ, მხრებზე ხომ ვერ გავიწყობო, — წყნარად უპასუხებდა ნიკო, ამდენი მდურვითა და თითის ქნევით თავადაც გაბეზრებული. ქედიც ისეთი ჯიშიანი და უდრეკი ჰქონდა, რომ თხუთმეტი წლისას მთელი სოფელი დევ-ნიკოს ეძახდა.

მეორედაც ისევ იმ თელასთან შეასწრო თვალი. ბიჭი ზურგით იდგა, ზორბა ტანით მთლად ფარავდა გოგოს და მამამ, — ე გოგო ნეტავ ვისი უნდა იყოსო, — გაიფიქრა.

— შენი ვაჟი რომ იმ ბებერ თელას შეჩვევია სალამ-სალამოობით, ეგ თუ იციო, — უთხრა ცოლს ნავახშმევს.

— ვიცი, მა რაო.

— მაშ თუ იცი, ვინ არი, ვისი შვილია, ისიც გეცოდინებაო.

— ეგეც ვიცი და მეტიცა, ჭროღას გოგო გახლავს, ეგ არსაქნელიო.

— ჭროღასიო? მერე მაგან არ იცის რო...

— იცის და ვითომც არა სცოდნია...

ჭროღას ეზოყურეს ერთი მხრებგაშლილი ქართული გულაბი ამშვენებდა. მარიამობისთვის ხე ხალებიანი, ქარვისფერი ნაყოფით იხუნძლებოდა. მარტო დასანახავად ერთ რამედ ღირდა მწვანე ფოთლებში მოლივლივე მზისფერი ნაყოფი და გემოთი ხომ ხილი არ შეედრებოდა. შევიდოდა თუ არა თვალი, ხილის მოსაპარავად წამოღერებული ბიჭ-ბუჭობა მოსვენებას კარგავდა. მობრძანდით, გენაცვალე, რამდენიც გნებოთ, იმდენი მიირთვითო, იმათ არავინ ეპატიჟებოდა და, რომ დაეპატიჟათ კიდეც, მაინც ისევ მოპარული ხილი ერჩიათ იმ უკულმართებს. სხვა თუ არაფერი, დაიკვეხნიდნენ: წუხელისა, ბიჭო, ჭროღას გულაბზე ვიყავითო, როო... მაგრამ კვეხნა კვეხნად რჩებოდა და არავინ იჯერებდა, რადგან იმ მამაძაღლ ჭროღას გულაბის ქვეშ ერთი მორყეული ტახტი დაედგო და სანამ გულაბი მოილეოდა, ღამ-ღამობით იქ იძინებდა ხოლმე, დილით კი ციმციმ დაკრეფილს, გოდორ-გოდორ და კალათ-კალათ ჩაწყობილს ბაზარში მიარბენინებდა და ყოველ გრამს ზედ დაჰკანკალებდა.

ერთ საღამოს ჭროღას ცოლი ძროხას წველიდა. საეჭვო რამ ჩქამი შემოესმა. წველა შეაჩერა. მიაყურადა. ძროხამ ფეხი გაიქნია, კინაღამ რძიანი სათლი ამოუბრუნა.

— უი შენა და ღვთის ცეცხლიო! — გაუწყრა საქონელს, თან ყური ისევ იქით ეჭირა. პირუტყვიც მოუსვენრად იყო, წარამარა ფეხს ინაცვლებდა, გააწვალა პატრონი. თითქოს ვიღაცამ თანდოო, ხმადაბლა დაიძახა, ვიღაცამ ხმადაბლა გაიცინა. ქალმა რძის ჭურჭელი აივანზე შემოდგა და ქმარს იდუმალის გამომეტყველებით გულაბისკენ ანიშნა — არიქა, გულაბზე არიან, გულაბსა გვპარავენო.

გულაბი სახლის უკან ედგათ. ჭროღამ თოფს წამოავლო ხელი და სახლს ჩუმად, ქურდულად შემოუარა. ეტყობა, ხეზე მაინც შენიშნეს პატრონი, ვიღაცამ ხმადაბლა შეუსტვინა და არემარე ისე ჩაჩუმდა, თითქოს აქვე, გულაბზე გატვრენილი ათიოდე ტლუ ბიჭი კი არა, მთელი სოფელი თავის ძაღლიან-მამლიანად აყრილიყოს და სხვაგან გადაბარგებულიყოს. ერთხანს ასე იცდიდნენ ხილის ქურდებიც და ხილის პატრონიც, თავ-თავის ადგილზე ჩაჩუმებულ-გატრუნულები. მერე ერთი უცებ ჭროღამ თავის მადლიან

ხეს შეუღრინა — შენი ოხერი პატრონი დედაცო, და ზედ ორი ბრმა ტყვია მიუშვირა. ბედი მისი, რომ ბრმად ნასროლი ბრმად არავის მოხვედრია.

ერთი ამოსუნთქვა და მთელი სოფელი ჭროლას კარზე დაედო. როცა გაიგეს, რაც მოხდა, ფუი, შენაო, პირში მიაფურთხეს ტვინ-დაბნეულ გულაბის პატრონს და უკან გაბრუნდნენ, თავ-თავიანთ გაციებულ ვახშამს მიაშურეს. ამის შემდეგ სოფელმა ჭროლას სახელი სათრევველად აიგდო:

— ჭროლა ვიყო, თუ ერთი სილა არ გაჭამოო.

— ჭროლა ვიყო, ეგ თუ არ განანოო.

— ვინც მე და შენში მტყუანია, ჭროლა იყოსო...

მოკლედ, წახდა საქციელი და წახდა კაცი. აღარც იმისი პურმარილი უნდა ვისმე, არც შესაშურად გამართული გერმანული შაბიამნის აპარატი. იმაზეც დიდი მადლობა უნდა ეთქვა, თუ მის გაღიმებულ-გაბადრულ „გამარჯობა მეზობელოს“ პასუხად ვინმე ერთადერთ სიტყვას „გაგიმარჯოს“ გადაუგდებდა, ისიც ძუნწად მოსხეპილს, ძაღლუმადურად გადაგდებულს.

ასეთი კაცის მძახლობა არ ეწადა ივანეს, თუმცა ჯერ რა დროს მძახლობა იყო. ჯერ ბევრი წყალი და ღვარი იყო ჩასავლელი, ბევრი ჭირი მოსაშორებელი.

ნიკო გვიან, ნავახშმევს შემოიძურწა. თან შემოდგომის ცივი ჰაერი შემოიყოლა. ეს ბეხლეწი ბიჭი დაბალ სკამზე ლეკვივით მოიკუნტა და მამას ქვეშქვეშ ამოხედა. ბოლოხანს სულ გადაიხვეწა შინიდან, უკანდაბრუნებულს მამა დაძინებული ხვდებოდა ხოლმე. ამაზე მამა ცალკე ჯავრობდა, შვილს ცალკე ერიდებოდა, მაგრამ ვერც ერთს ეღონა რამე და ვერც მეორეს.

— რაო, გიყვარს? — ჰკითხა მამამ და ქეჩოში ალერსით წაუთაქა.

— რა ვი, მგონი!

— კარგია?

— ისა?

— არა, ეგ ტიალი სიყვარული.

— ჰოო... მგონი...

— რა მგონი აგიტყდა, ბიჭო, ის არ იცი, რომ მთელი ქვეყანა მაგას უჭირავს? მართლა ჭროლას გოგოა?

— მერე?

— მერე ისა, რო, მაგათი ფერის მარტო თამბაქო თუ ვარგამეთქი, ისიც გამხმარი და გამამშრალი. თან მაგის მამა არ იყო ის ჯეელი, ჭიანი პანტისათვის სატყვიედ რო გაგიმეტათ? — ჰოი, მე მაგისი!...

— კარგი! — თქვა ნიკომ. — ეგ იმასთან ნუ გადააბი. ეგ იმასთან არაფერ შუაშია.

— ეჰ, რა ვიცი, ხემა მოისხა ხილიო... უთქვამთ. რაც მამაა, ის შვილიო და...

— კარგი! — ისევ თქვა ნიკომ. ხელები მუხლებზე შემოეჭდო. მამას ერთი ისე შემოანათა ხბოს თვალები, კარგი რა, გეყოფაო, მაგრამ თქმით მარტო ის უთხრა, — კარგიო, ადგა, ზლაზვნით გავიდა შუშაბანდში, ტახტზე წამოწვა, თავქვეშ ხელები ამოიწყო და, ასე ტანგაუხდელივე დაიძინებდა, დედას რომ არ წამოეგდო.

მეორე დღეს დევ-ნიკო სოფელში აღარავის უნახავს, არავინ იცის როდის, საიდან, როგორ წავიდა ფრონტზე. უკვე ჩვიდმეტისა ხდებოდა, ესეც არ იყოს, მისი მხარ-მკლავის პატრონს საექიმო კომისიაში უარს ვინ ეტყოდა.

ორ-სამ კვირაში სამკუთხა ბარათი მიიღეს. ბარათში ნიკოს ფოტოსურათიც იყო — სამხედრო ფორმაში გამოწყობილს ნამდვილი კაცის იერი ედო. იწერებოდა, მაპატიეთ, მძინარეთ რომ დაგემშვიდობეთ, დიდი ხანია რაც გადაწყვეტილი მქონდა მოხალისედ წამოსვლა, უცბად არ მიფიქრიაო. აბა როგორ გინდათ, კურკა თეზო ომობდეს და მე დედაკაცივით შინ ვიჯდეო? ჩემი ჯავრი ნუ გექნებათო.

ეს ხომ ასე იყო, მაგრამ ივანეს გულზე შავი ტალღა რამ ასკდებოდა, როცა გაახსენდებოდა ის ორჯერ ნათქვამი: „კარგი!“, ხედავდა, როგორ მისჩერებოდა ხბოს თვალებით მძინარ დედ-მამას და, ღმერთო მაღალო, ის ნაბიჯები ესმოდა, დევ-ნიკოს ვეება ნაბიჯები, სახლს რომ სწრაფად სცილდებოდა და უკვე თავისი გზით მიდიოდა, — ვინ იცის, — იქნებ მოუსვლელ გზაზეც, იქნებ რა ჭირის, რა ვარამის გადასახდელზე, რა ჯოჯოხეთის გადასახედ-გადასავარდნზე. ერთი კი იყო: თავისი წილი ტვირთი თავის ზურგით უნდა ეთრია ნიკოს წლეულს თუ არა იქით სწორს მაინც, მაგრამ წყენა, წყენა არ უნდა გაჰყოლოდა მამის სახლიდან, უარყოფილი, შელახული გრძნობის გამო ტკივილი და წყენა. აი, სად იყო მარცხის შიში ჩაბუდებული. უბედურების მოლოდინიც... ნიკო რის დევნიკო იყო, თავს თუ წაიხდენდა, ერთი ათისოდენს არ იქმოდა, თუ გვარსა და მამას შეარცხვენდა. გულმშვიდად იყო ივანე. არაფერი აწუხებდა, არა, საქვეყნო საქმე წესრიგში იყო. სათავისოს უჩანდა მხოლოდ სუსტი კუნჭული და ვაი თუ სწორედ იმ კუნჭულში...

ორჯერ გამოუძახეს სამხედრო კომისარიატში. კაი ამბავიაო, თან მოაყოლეს. ივანე მხნედ მიდიოდა სამხედროებთან. მაშინ, იმ გაჭირვების ჟამს, ავს ავი ერქვა და კარგს კარგი. ავზე კარგს არავინ გეტყოდათ.

ორჯერვე მამას სტალინის ხელმოწერილი მადლობა გადასცეს, სამშობლოს ერთგულებისათვის, გმირობისა და სიმამაცისათვის. მაშ რა გგონიათ, ჯილდოები, ორდენები, მედლები... ყოველ ბარათს ახალი გმირობის ამბავი მოჰქონდა. რა ვიციო, — ერთ წერილში იწერებოდა უკვე ცხრამეტი წლის ნიკო, — ეს უპატრონო, ჩვეულებრივ ვიბრძვი და გმირობა კი გამომდისო. ტყუილად კი არ ამბობდნენ, მტერს მოხვდა ნიკოს მუშტიო... და მაინც იყო რაღაც იმ გამარჯვებების, იმ გმირობისა და სიმამაცის მიღმა, რაღაც საშიში და ნიშნეული, რაც ივანეს აწუხებდა, აშფოთებდა, ძილს აკარგვინებდა. წყენა, წყენა არ უნდა ესაგზლებინა შვილისთვის იმ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში. თუმცა რო თქვას კაცმა, ნიკომ დახსომება როდი იცოდა. დედას ქვეყანა რომ თავზე დაექცია, არ გაუწყრებოდა, არაფერზე გაედრუნჩებოდა. ჩაივლიდა თუ არა ქარიშხალი, დედიკოო, ისე თბილად ეტყოდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. არა, წყენა რა ბედენაა... კაცია უკვე, კაცი!

ბოლო დეპეშა ბერლინიდან მოვიდა ორ მაისს: ომი სადაც არის დამთავრდება, კარგადა ვარ, მალე გნახავთო — იწერებოდა. მეორე დეპეშა სამი დღის შემდეგ მიიღეს.

თქვენი შვილი, ნიკოლოზ ივანეს ძე ძამიაშვილი...

დანარჩენი აღარ წაუკითხავს ივანეს. ან რა წასაკითხავი იყო ის, რაც შემდეგ ეწერა.

მერი პაპუნაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ნენეს სიმღერა

„აჭარელო დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ეხედავ,
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა —
ტკბილი დედა ენა,
სანუკვარი მოიპარე
და აკვანში მალე,
მე შენს ქართულ კაბა-ქათიბს,
დედავ, ვეთაყვანე.
იავნანა ჩაგეფინა
ჩვილთა არტახებში,
დარდმა თეთრი ჩაგისირმა
აბრეშუმის თმებში.
შენს დარწეულ აკვნებიდან
მოდის ჩემი ლექსი,
მთების იქით,
ნისლის იქით,
შენი ნანა მესმის".

პოეტი ქალის ნანა გვარიშვილის შემოქმედებაში ეს ლექსი თავისებურ დედა-ლექსად შეიძლება მივიჩნიოთ. მაინც რატომ? იმიტომ, რომ მასში, როგორც კამკამა წყლის წვეთში, ირეკლება პოეტის შემოქმედებითი სამყაროს სახე, ქალურად წრფელი სულიერი განწყობილება და იავნანურად სადა მელოდიური წყობა. აკი თავადაც ამბობს — „ჩემს ჩანგს ყოველთვის ათრთოლებდა გამრჯე და შრომისმოყვარე ქართველი მუსულმანი ქალების მწარე ხვედრი წარსულში, და თანამედროვე სოციალისტურ შრომაში მათი დიდი წარმატება და გამარჯვება; იმ დედებისა, რომლებმაც შვილებს გადაურჩინეს ქართული ენა და შეუნარჩუნეს რაინდული სული".

მკითხველის სმენას, შესაძლოა, რამდენადმე ეჩოთიროს კიდეც გამოთქმა — „ქართველი მუსულმანი ქალები", მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ამ შემთხვევაში გამოხატავს წარსულიდან მომდინარე, ჯერაც ბოლომდე დაუამებელ ტკივილს, იმ მძიმე და უსამართლო ხვედრის გამო, ისტორიამ აჭარელ დედას რომ არგუნა. საილუსტრაციო მასალის მოსახმობად შორს ნუ წავალთ. გავიხსენოთ თუნდაც თედო სახოკიას მოგზაურობათა წიგნი. რაოდენ დაბეჩავებულად, უფლებააყრილად გამოიყურებიან ჩადრებში გახვეული ასულები აჭარის მთებისა, მაგრამ მწერლის დაკვირვებული და მოსიყვარულე თვალი იმასაც ამჩნევს, რომ ძალით მოხვეულ შავ სუდარას არ ძალუძდა ჩაექრო ამ ქალების სხივმფინარე მშვენიერება (გორგაძის ქალი იეთერა და მისი რომანტიკული თავგადასავალი), გონიერება და განათლებისაკენ სწრაფვა (შერიფ-ბეგის უმცროსი ქალიშვილი), შეგნება დედური მოვალეობისა, რომ არ ჩაექრო ქართული კერა, ემრავლებინა შვილები, გადაერჩინა დედაენა. ამ მხარის მძიმე ისტორიულმა ვითარებამ, კაცს უპირველესად გულგაუტეხელი მეომრის მოვალეობა დააკისრა, ქალს კი — ოჯახის მფარველი კეთილი სულისა. ამიტომაც აჭარელის ოჯახში განსაკუთრებულად შეუვალი იყო „დიდი ნენეს" ანუ ბერ-დედის ავტორიტეტი. შემთხვევით როდი იწოდებოდა „დედაბრულად" ქართული დამწერლობის სახე, რომლის საშუალებითაც აჭარელი ქალები გარემოებათა გამო გასაიდუმლოებულ, მაგრამ მუდმივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ დებთან. ეს გახლდათ უნიკალური და ამასთან ამაღელვებელი გამოვლინება ხალხის სულიერი ერთიანობისა. დიახ, აჭარის მთების ასულნი არასოდეს შეგუებიან მონური მორჩილების ხვედრს:

„შავ არტახიდან ეძახდა მშველელს,
იდუმალ ტანჯვით თვითვე იხსნიდა,
და თეთრ თოლიას აფრენა სურდა
მიწურ ცხოვრების მღელვარე ზღვიდან".

შავი ჩადრი თუ ფეშტემალი, რომელსაც უნდა „ვარდის სახე დაემალა, დაემალა ნუშის თვალი", პოეტს საძულველი წარსულის სიმბოლოდ უქცევია. ამიტომაც აცოცხლებს შინაგანი მღელვარებით ახალი ცხოვრების იმ ღირსსახსოვარ დღეებს, როცა აჭარელმა ქალმა თავისებური აუტოდაფე გაუმართა მონობის ნიშნად ტანზე შემოხვეულ ძონძს და ხელში ნათელსახიანი მანდილი შეაფრიალა („ჩადრების ჭიაკოკონა", „ფეშტემალი", „ბალადა შავშეთელი ქალის თავშალზე", „ტრიბუნაზე", „მზის მანდილით"). ამ აქტს არაფერი ჰქონდა საერთო ბრმა შურისგებასთან, უპირველესად, სულიერ განწმენდა-ამაღლებას ემსახურებოდა, რათა აჭარელ ქალს მოსცილებოდა „სამასი წლის ჩადრის ჩრდილი". იმ კოცონების შუქი კი, დაასკვნის პოეტი, — „ჩემი მომავლის სინათლე იყოო".

ახალმა დრომაც მართლაც სრულად გამოაბრწყინა ჩადრახსნილი ქალის სიმშვენიერე, ნიჭი და უნარი. პოეტის შთაგონებული სიტყვაც უპირველესად მათ ეკუთვნის: პირველ აჭარელ მფრინავ ქალს ფადიკო გოგიტიძეს („სამი საუკუნის მონობის უღელი ცაში დაამსხვრიე, პატარა ქალო"), პირველ მეზღვაურს ვაიდე გვარიშვილს — „პატარა ქალს კაპიტნის ქუდით", დიდი სამამულო ომის დროს მტრის ზურგში მამაცურად მოქმედ მზვერავს ფადიკო ემირიძეს.

ნანა გვარიშვილის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ არ იკეტება მარტოოდენ თავისი კუთხის გარემოში. მისი ლექსების ადრესატები, თავიანთი ცხოვრებითა და სულიერი მისწრაფებებით, მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი დიდი, ვრცელი ქვეყნის ადამიანთა ბედთან. ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და აჭარისათვის დედობრივად მზრუნველი პოეტი ქალის დომინიკა ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი ბუნებრივად ეხმიანება დიდი ლენინის დედის გულის დუღილს; გამაჰმადიანებაზე უარის მთქმელი აჭარელი კაცის თვალწინ, შურისგების ნიშნად, დამპყრობთა მიერ ქვევრში ჩაჭოლილი ქალიშვილის ტკივილი უერთდება ფაშისტი ჯალათების მიერ კოცონზე დასაწვავად აყვანილი რუსი პარტიზანი ქალიშვილის საბრძოლო მოწოდებას; ფადიკო გოგიტიძის სულიერი სითამამე — პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას გმირულ შემართებას. პოეტის ლექსებში აღელვებული ხმა აჭარელი ქალისა შეერთებია საყოველთაო მშვიდობისადმი სანუკვარ მისწრაფებას, დედების მოთხოვნას, რომ არ განმეორდეს ლიდიცეს, ოსვენციმისა თუ ბუჰენვალდის კოშმარი, ხალხი ჯვარს არ აცვან ჩილეს მსგავსად.

თუმცა ამგვარი ლექსები აშკარად პუბლიცისტურია, პოეტი ქალი მაინც ახერხებს არ გადავარდეს პლაკატურობასა და პათეტიკაში, ბოლომდე ინარჩუნებს ხმის სიწრფელესა და უშუალობას. საამისოდ ის უნარიანად იყენებს ეპიგრაფებად შერჩეულ ქრონიკალურ ტექსტებს. მკითხველისათვის მთავარი ინფორმაციის ამგვარი წესით მოწოდების შემდეგ პოეტი ლექსის ყოველ სტრიქონს მთლიანად ახმარს მოვლენისადმი თავისი სულიერი დამოკიდებულებისა და მისგან მომდინარე განწყობილების წარმოჩენას.

საქართველოს იმ კუთხის შვილმა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ტანჯავდა

დედისაგან მოწყვეტილობის გრძნობა, გან-საკუთრებით იცის სამშობლოს ერთიანობის გრძნობის ფასი და მნიშვნელობა:

„შენ ჩემზე ფიქრით და ჩემზე დარდით
კავკასიონი გაგიჭაღარდა,
მოგწყვიტეს შვილი, შეხვედრის
წყურვილს
ჩუმად იკლავდი ცრემლიან ღვართან.
ახლა, დედაო, შენი ღიმილი
გადავიხურე თავზე მანდილად
და შენს უბეში გაყუჩული ვარ,
ერთად შეგვყარა ნანატრმა დილამ.

. . . . . . . . . . . .

დავბრუნებივართ შენი შვილები,
ჩვენს წინაპრობას ჩასძახე ყველას —
რომ შეემატა ცეცხლი და კვამლი
ძველი ოჯახის ანთებულ კერას“.

ის, რომ აჭარელი პოეტი ქალის ლირიკული გმირები თავიანთ გრძნობებს გვიმჟღავნებენ საყდრის კედელზე გაკეთებული მინაწერებით და შვილებს წმინდა მარიამს ავედრებენ, ამ შემთხვევაში რელიგიურ მოტივად კი არ აღიქმება, არამედ თავდაპირველ სტიქიასთან სულიერად დაბრუნების დადასტურებად.

ნანა გვარიშვილის პოეზია ჩვენ ძირითადად ერთი, მთავარი ასპექტით წარმოვადგინეთ, თუმცა თემატიკურად და შემოქმედებითად საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დავჯერდებით მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ რაზეც უნდა წერდეს მგოსანი ქალი, ყოველთვის რჩება ერთგული ქალური უშუალობისა, ახერხებს თავისი სათქმელის ზუსტად, ლაპიდარულად და ნატიფად გამოხატვას. დავაკვირდეთ, თუნდაც, ზღვისპირეთის პეიზაჟების პლასტიკურ ფერწერას:

„მუხლამდე წყალში ჩადგა ქალაქი,
მერე განაზდა, აივსო მზითა...
მოვიდა ერთი შვიდფერა გოგო
და ყველა წყალი ცაში აზიდა“...

„ზღვაში შეუშვეს ლამაზ დებივით,
ჩრდილნი კენარა კიპაროსებმა“...

ან კიდევ:

„უცებ დაფლითა ქარმა
ერთი სათუთი აფრა,
მისი ნაფლეთი მზეში
ჰგავდა პატარა ზაფრანს.
არ დაეძებდა არა,
სად გატყორცნიდა ტალღა,
ცისფერი იდო დაბლა,
ზღვისფერი იყო მაღლა“.

რა თქმა უნდა, ყოველი პოეტი ქალის ნიჭიერების უპირველესი სასინჯი ქვა ის გახლავთ, თუ რამდენად ახერხებს მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სულიერი განწყობილების გამოხატვას, მათი შინაგანი განცდის სიღრმეებში წვდომას. ამ მხრივაც ზუსტია ნანა გვარიშვილის კალამი:

„შენ ჩაიარე თუ ჩაიარა
სისხლის მდინარემ?
რამ დამასველა ასე ულმერთოდ?
თუ ცრემლი ვღვარე...
თუ ეს სიცხადე
იყო სიზმარი?!
ვიღაცამ გულზე მომახურა
ათასი კარი“.

ქალურ გულისთქმას მის ლექსებში ხშირად ბუნების მოვლენებიც იზიარებენ ცოცხლად და უშუალოდ. ავიღოთ თუნდაც ცნობილი ბათუმური წვიმა:

„თქვენით გავუძელ ღამეებს
შემკრთალებს, ფერდაკარგულებს,
მოხვალთ, სარკმელთან მოიტანთ
პატარ-პატარა გულებს“.

დააკვირდით, რა ზუსტად არის გადმოცემული ქალური მარტოობის გრძნობა:

„მკლავებდაჭრილი თუთა ვარ ახლა,
სულ მარტოდ მარტო თოვლში
დამტოვეს“.

ვის არ სმენია სიმღერად ქცეული ლექსი, რომელშიც პოეტი მომხიბვლელი, შეფარული სილაღით გადმოსცემს მოტრფიალე არსების გულისფეთქვასა და განწყობას:

„მე რომ ვდარდობ,
ისა ხარ,
რომ ვიცინი,
ისა ხარ,
როცა ელავ,
მზისა ხარ,
როცა ღელავ,
ზღვისა ხარ,
მაგრამ როცა გულსა გთხოვ,
მაშინ, კარგო, ქვისა ხარ“.

ავტორს, რომელმაც იკისრა შემოქმედი ადამიანის ნაღვაწის შეძლებისდაგვარად შეფასება, ცხადია, საბოლოო დასკვნის გამოტანა მართებს. საამისოდ ჩაფიქრებულს, როგორღაც თვალი მომტაცა ნანა გვარიშვილის კიდევ ერთმა სტროფმა, აღმოჩნდა, რომ ჩემი სათქმელიც პოეტ ქალს გამოუხატავს, თანაც მეტად შთამბეჭდავად:

„მე ვიშვი ზღვაში, როგორც თოლია,
თქეშში, ავდარში...
წვეთი ვიყავი, მაგრამ არ დავშრი,
მისი მარილი გამომყოლია“.

ჭეშმარიტად!

ლენა დიდებელი

## ჯარისკაცის ფარაჯა

მხრებს გვადნებოდა ქარში, წვიმაში
გულნატყვიარი ძველი ფარაჯა...
დაგვტოვეს საზღვრის მისადგომებთან,
მშვიდობისათვის რომ გვედარაჯა.

დაფლეთილი ხარ შავბედობისგან,
უძლეველ მხრებით ხარ ნატარები.
ძონძი კი არა, თბილი უბე ხარ,
ვაჟკაცის მხრებზე წანაფარები...

ალი ხარ, ტანზე შემოდებული,
ლანდი კი არა, ჩრდილი კი არა, —
მთელი სამყარო მშვიდობიანი
გამოალვიძა შენმა შრიალმა.

## მამულო, თავზე შემოგევლები

შენი ყვავილი ზამთარშიც ღვივის,
თაფლივით მატკბობს შენი სიკეთე,
შენ კი იმეტებ მადლიან ღიმილს,
მაგრამ მე, კარგო, რა გაგიკეთე?

მე მუდამ ფიქრის ამარა ვრჩები
და ვიფიფქები ატმის ტოტებით.
ასე მიდიან დღეები ჩემი
და აღარ ვიცი, რას ველოდები.

ამ მოლოდინში თმა იფიფქება
და ჩემთვის ასე ვფიქრობ ნიადაგ;
...ნელი ნაბიჯით მოგდევ იქნება
ან ცოტა კიდეც შემიგვიანდა!

არ ვიცი, მაგრამ სავსეა სული
ჩუმი ოცნებით, ჩუმი ფიქრებით;
ბუჩქში გნოლივით ვარ განაბული
და სიკვდილამდე ასე ვიქნები.

იასამნების ლურჯი ცრემლებით
დღესაც ლამაზად გამოიდარა,
მამულო, თავზე შემოგევლები
და ქვეყნად მეტი არა მინდა რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამთაწყარო

ვ. გენგიურის ფოტოები



ელენე და ვაჟა გაბაიძეების დიდი ოჯახი



მრავალშვილიან დედათა ბრიგადის წევრთა ერთი ჯგუფი



საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ლიანა მამულაშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი მაყვალა საკანელაშვილი

1980 წელს სამთაწყაროში მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა. მაშინ სოფელში მხოლოდ 80 ოჯახი ცხოვრობდა.

გავიდა ოთხი წელი და სოფელს ბევრი ახალი რამ შეემატა: 300-მდე საცხოვრებელი სახლი, 350 მოსწავლისათვის გათვალისწინებული საშუალო სკოლა კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზით, მარტივი ტიპის სპორტული მოედნებით; 140 ბავშვისათვის საბავშვო ბაგა-ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სასადილო-პავილიონი, თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი სპეციალისტებისათვის, წითელწყაროსა და წნორისკენ მავალი სამარშრუტო ავტობუსები.

დღეს სამთაწყაროში 310 ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის არიან აჭარის მთიანი რაიონებიდან ჩამოსულებიც და ინგილოებიც. ყველანი შეხმატკბილებულად ცხოვრობენ და მეურნეობის წარმატებებს ამრავლებენ.

მეურნეობამ შარშან ვადაზე ადრე შეასრულა ხუთწლედის ყველა დავალება სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის საქმეში. განსაკუთრებით შარშანდელი რთველი იყო ბარაქიანი. სახელმწიფოს 4400 ტონა ყურძენი მიეყიდა, ნაცვლად გეგმური 4000 ტონისა. ყურძნიდან ამონაგებმა, ნაცვლად დაგეგმილი 2 მლნ. მანეთისა, 2 მლნ. 265 ათასი მანეთი შეადგინა. 1981 წელთან შედარებით, ყურძნის სახელმწიფოსთვის მიყიდვა ცხრაჯერ გაიზარდა.

აღნიშნული წარმატებები ახალგაზრდების გარჯითა და შრომით არის მიღწეული. ეს იმიტომ, რომ მეურნეობაში ისინი სჭარბობენ.

ბარაქალა! ახალგაზრდობა ქალაქისაკენ კი არ მიისწრაფის, სოფლის ძლიერებაზე ფიქრობს!

1981 წლიდან მეურნეობას კომუნისტი ბეჟან გონაშვილი ხელმძღვანელობს. მეურნეობაში ოთხი ბრიგადაა, რომელთა საქმიანობასაც წარმართავენ ახალგაზრდა კომუნისტები — გულო ნადირაშვილი, ედუარდ დიმიტრაძე, მალხაზ კილაძე და კომკავშირელი რევაზ ჯაფარიძე.

გულო ნადირაშვილი ახალგაზრდა დედათა ბრიგადის ბრიგადირია. მასთან 16 დედა შრომობს. ისინი წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმავალდებულებებს. შარშან, ნაცვლად გეგმური 190 ტონისა, მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 266 ტონა ყურძენი. ახალგაზრდა დედები სამეურნეო საქმიანობასთან ერთად კარგად უძღვებიან საოჯახო საქმეებს. დღეისათვის ბრიგადის წევრთა შვილების რიცხვი 26-ს აღწევს. დედებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. ამავე ბრიგადის წევრს ლიანა მამულაშვილს 1984 წლის კარგი სამეურნეო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. ორ და სამ შვილს ზრდიან როზა და ქენია საკანელაშვილები, მარინე და ჟუჟუნა პაპიაშვილები, მარინე სარდალაშვილი. მათ, ამასთან, ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავთ.

კარგი მაჩვენებლები აქვთ II-III-IV ბრიგადის წევრებს დარიკო და თამარ ჯაიანებს, ჟუჟუნა ხილაძეს, ციალა დიმიტრაძეს, მერი კილაძეს, რომლებსაც სამ-სამი და მეტი შვილი ჰყავთ.

სამთაწყარო მრავლდება, ბავშვებით ივსება. 310 ოჯახიდან 123-ს ოთხი და მეტი შვილი ჰყავს. ახალგაზრდები მაგალითს გმირი დედებისაგან — ეხსან კილაძისა და ელენე გაბაიძისაგან იღებენ, რომლებიც 12-12 შვილს ზრდიან და ამავე დროს საზოგადოებრივ შრომაშიც გამორჩეულები არიან. შარშან რთველში 60 წელს მიღწეული ეხსან კილაძე ყოველდღიურად ტონაზე მეტ ყურძენს კრეფდა, ხოლო ელენე გაბაიძე და მისი ოჯახის წევრები ყოველდღიურად 6-7 ტონა ყურძენს გზავნიდნენ მარანში. მათ შრომას ჯეროვნად აფასებენ პარტია და მთავრობა. 1985 წელს რაიონში მოწინავე მშრომელთათვის მოსული გაზ-24 მარკის მსუბუქი ავტომანქანა რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა ეხსან კილაძის ოჯახს მიაკუთვნა.

ახალგაზრდებს შრომისა და დასვენების კარგი პირობები აქვს. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპორტში. ჭაბუკებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობებში გოგონებიც არიან ჩაბმული. სწორედ გოგონათა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი ქალთა შორის ფრენბურთში გამართულ რაიონულ შეჯიბრებაში. წარმატებები არც მოჭიდავეებსა და ფეხბურთელებს აკლიათ.

ეს სპორტული მიღწევები შემთხვევით არ არის მოპოვებული. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თავად მეურნეობის დირექტორი ყოველმხრივ უწყობს ხელს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს გამარჯვებების მიღწევაში.

სამთაწყაროელები პირნათელნი არიან ქვეყნის წინაშე. მათ იზრუნეს და მხოლოდ მიღწევები უპატაკეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობას.

**მაყვალა საკანელაშვილი,**
**სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.**



# ოქროხელა

ასე უწოდეს ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში („პირიმზე“) მანქანაზე მბეჭდავთა ბრიგადის ერთ-ერთ ახალგაზრდა წევრს — ლამარა ნანიკაშვილს.

კარგად ახსოვთ უფროს კოლეგებს ლამარას პირველი მოსვლა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში. მანქანაზე ბეჭდვის ერთწლიანი კურსებიც გაიარა, გარკვეული პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნდა, მაგრამ დამოუკიდებლად მუშაობის პირველ დღეებში კოლექტივში სრულყოფილად მაინც ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი. მაგრამ, ახალგაზრდულმა შემართებამ თავისი გაიტანა — ლამარამ მალე დასძლია პირველი სიძნელეები და დაკვეთის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის მალე მომხმარებლის პირველი ქებაც დაიმსახურა...

ისიც ახსოვთ, იშვიათად თუ ჩაერთვებოდა უფროსებთან საუბარში, როგორი თავაზიანი ქცევითა და სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდა.

რაც არ უნდა ჭირვეული დამკვეთი შეხვედროდა, იგი მაინც ახერხებდა მასთან საერთო ენის გამონახვას: მონდომებულიცაა, მუყაითიც და ისეთი სპეციფიური სამუშაოსათვის, როგორიც საყოფაცხოვრებო მომსახურებაა, ეს თვისებები აუცილებელია. და აი, იგიც მოწინავეთა შორის პირველ რიგში დაასახელეს...

რამდენიმე წელია, რაც ქუთათურ „პირიმზეში“ მბეჭდავ შემანქანეთა კოლექტივში საქმიანობს ლამარა. იმდენად ნაყოფიერი და ხარისხიანია მისი შრომა, რომ ბრიგადირი ეთერ ხაჭაპურიძე „ოქროხელა“ ლამარაზე საქებარ სიტყვებს არ იშურებს. და განა მარტო ბრიგადირი, ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოშიც დაუყვედრებლად გეტყვიან კარგ სიტყვას ლამარაზე; მომხმარებელთა მიერ ჩაწერილ საქებარ სტრიქონებს ამოიკითხავთ მისი მისამართით საყოფაცხოვრებო სახლის წინადადებების წიგნში. მოწინავეთა საპატიო დაფას წლების მანძილზე არ სცილდება ლამარას სურათი. საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ხაზით სოცშეჯიბრში გამარჯვებულის სამკერდე ნიშანიც დაიმსახურა, წამახალისებელი პრემიები და ოფიციალური მადლობებიც ბევრი მიუღია.

როგორც მოწინავე მუშამ, ტურისტული საგზურებით ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხე მოიარა — იყო მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, რიგაში და კიდევ ვინ მოთვლის სად. გაეცნო ღირსშესანიშნაობებს, გაიფართოვა ცოდნის არე და რაც მთავარია, მოსიყვარულე და თბილი გულის ადამიანმა ბევრი ახალი მეგობარი შეიძინა.

არა მარტო შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურია ლამარა. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში და მინდობილ დავალებებს პირნათლად ასრულებს. ამიტომ მისცა მას რეკომენდაცია ქუთაისის ადგილმრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. სურგულაძემ ყოფაცხოვრების სახლის პროფკომის თავმჯდომარეობაზე. კოლექტივში ერთხმად დაუჭირეს მხარი მის კანდიდატურას, რადგან უყვართ, აფასებენ და ენდობიან. ამართლებს კიდეც ლამარა მათ ნდობას.

განვლილმა წლებმა დიდი გამოცდილება შესძინა ლ. ნანიკაშვილს. იგი ყოველგვარ სამუშაოს ასრულებს: საქმიანი ქაღალდების გადაბეჭდვა იქნება ეს, თუ რთული ტექსტები და დედნები. ისე დაოსტატდა, ისე ფლობს ელექტროსაბეჭდი მანქანის კლავიატურას, რომ გაწვრთნილი პიანისტივით ათამაშებს თითებს და მთელი გულისყური დედანზე აქვს გადატანილი. იმდენად სწრაფია, ისე ჯადოსნური სისწრაფით გარბი-გამორბიან თითები, რომ ახერხებს სამუშაო საათებში შეუცდომლად 30-40 თაბახის გადაბეჭდვას.

ზოგჯერ (და ძალიან ხშირადაც) თუ ხელნაწერში რაიმე გრამატიკული უზუსტობაა გაპარული, ლამარა დამოუკიდებლად ასწორებს დედნის ენობრივ ლაფსუსებს, რის გამოც, ცხადია, მომხმარებელი კმაყოფილი ჰყავს; მას ხომ ოქროხელაც სწორედ ამიტომ უწოდეს!

უ. ხოხიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრილობიდან ყრილობამდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რ. მჭედლიშვილი — მჭედელი თ. ხუციშვილი

ლ. ფოფხაძე — ისაკაძის პორტრეტი



# ქრილობიდან ქრილობამდე



რ. თორდია — მეჩაიე ქალი წვიმაში



გ. თოთიბაძე — ნინო ანანიაშვილი



დ. მაისაშვილი — ფარის გადარეკა



თ. ერაძე — სოფელი წინარეხი



ნ. ცაშაკიძე — რთველი



# ჭრილობიდან ჭრილობამდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. გაჩეჩილაძე — თ. ჯაფარიძის პორტრეტი





გ. ქინქლაძე — ჭორიკნები

# ქალაქს ალმაზებს მათი შემოქმედება

არ ვიცი ახლა რაზე ფიქრობს. დგას კულისებში და გარინდებული გაჰყურებს სცენას. იქნებ ახალი ცეკვის ნახაზებს ადგენს, ან მისთვის კოსტუმებს ხატავს ოცნებაში. უყვარს ასე ჩაფიქრებით სცენის მიღმა დგომა, მაშინაც კი, როცა მისი გოგონების ცეკვით მოხიბლული მაყურებლის ხანგრძლივი ოვაცია აზანზარებს დარბაზს. წარმატებებით აღტაცებული გოგონები კი ცეკვის დამთავრების შემდეგ შემოეხვევიან და ერთმანეთს არ აცლიან:

— ხომ კარგები ვიყავით, ლალი მასწავლებელო, ხომ კარგად ვიცეკვეთ?

ლალი მასწავლებელი კი იღიმება მხოლოდ. იცის, ეს ხანგრძლივი ტაში მას ეკუთვნის და გოგონებს ისევ სცენისაკენ უთითებს.

— გაიმეორეთ.

და დგებიან თითისტოლები ცერებზე, ეფინება მოხიბლულ დარბაზს ქართული ცეკვის ეშხი და სილამაზე, ის კი კულისებში ახალ ცეკვაზე ფიქრს აგრძელებს.

ვინ მოთვლის რამდენი იყო ლალი ჩხეიძის ცხოვრებაში ასეთი ლამაზი, სიხარულით სავსე დღეები, როცა მის ხელოვნებას აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მოძმე რესპუბლიკების ქალაქებშიც. ქ. ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სასახლის ბავშვთა შორის მუშაობის სექტორის გამგის, ლალი ჩხეიძის მიერ შექმნილ გოგონათა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, მრავალჯერ მოუხიბლავს ქ. მოსკოვის, სიგულდის, ოგრეს, იკშკილის და სხვათა მაყურებელი, რამდენჯერმე მიუღია მონაწილეობა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაში და პირველი ხარისხის დიპლომები და ოქროს მედლები დაუმსახურებია.

უწინ, ქ. ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ციცინათელას“ სოლისტი იყო, საოცარი სინაზე და სინარნარე შემოჰქონდა სცენაზე. ცეკვა „ქართულის“ საუკეთესოდ შესრულებისათვის მინიჭებული აქვს საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი. მონაწილეობდა თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკურ ფესტივალებში 1967, 1970, 1972 წლებში და მიღებული აქვს პირველი ხარისხის დიპლომები და ოქროს მედლები. 1974 წელს მონაწილეობდა საბერძნეთსა და კვიპროსში საბჭოთა კავშირის მიერ გამართულ ლენინის დღეებში, სადაც ბერძენი მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. შემდეგ ქორეოგრაფად დაიწყო მუშაობა ქ. ჭიათურის მეტალურგთა კულტურის სასახლეში და მაღაროელთა შვილებს ქართულ ხალხურ მუსიკასა და ცეკვებს ასწავლიდა და აყვარებდა: ამჟამად კულტურის სასახლის ბავშვთა შორის მუშაობის სექტორის გამგეა და დიდი წვლილი შეაქვს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქალაქის მოზარდი თაობის ზნეობრივ, შრომითს და ესთეტიკურ აღზრდაში. ლალი ჩხეიძის ინიციატივით სასახლის ბავშვთა შორის მუშაობის სექტორთან უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს მოსწავლეების მომღერალთა გუნდი, სასულე ორკესტრი და საესტრადო ანსამბლი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქალაქში გამართულ ყოველ ღონისძიებაში.

საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის საზეიმო დღეებში მეტალურგთა კულტურის სასახლის გოგონების ქორეოგრაფიული ანსამბლი, ლალი ჩხეიძის ხელმძღვანელობით, ქალაქის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „განთიადთან“ ერთად მონაწილეობდა ლატვიის ქალაქ სიგულდაში გამართულ ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ფესტივალში. ამან საფუძველი ჩაუყარა ორი ქალაქის — სიგულდისა და ჭიათურის ახალგაზრდობის მეგობრობას, დღესაც ასე წარმატებით რომ გრძელდება. მაშინ არა მარტო ქართული ხალხური ცეკვებით მოხიბლეს სიგულდელი მაყურებელი გოგონებმა, მათ მიერ შესრულებულმა ლატვიურმა ცეკვებმაც აღტაცებაში მოიყვანეს ისინი.

ხშირად მიფიქრია: რით გვიზიდავს ასე ძალიან ჩუმი და მუდამ ჩაფიქრებული ქალი — მისი საოცარი მოკრძალებით, თავისი საქმისადმი ერთგულებით და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, რომელსაც ცეკვასთან ერთად გადასცემს და უნერგავს პატარებს. ბავშვებს კი უზომოდ ხიბლავს და ატყვევებს ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც უხმოდ, უთქმელად, ყოველ შეხვედრის დროს მთელი არსებით აგრძნობინებს ხოლმე მათ; აი, რატომ მიუხარიათ კულტურის სასახლეში და რატომ არის მათთვის ლალი მასწავლებელი ყველაზე მიმზიდველი, ახლობელი, ყველაზე საყვარელი.

და თუ დღეს მაღაროელთა ქალაქში საკმაოდ მასობრივი, საკმაოდ მრავალფეროვანია მხატვრული თვითშემოქმედება, ამაში დიდია ლალი ჩხეიძის წვლილი, ასე რომ უხდება, ასე რომ ალამაზებს იმერეთის ამ პატარა კუთხის ცხოვრებას.

ლეილა ბიწაძე,

ქ. ჭიათურა.



რეპეტიციაზე

მარიკა ბარათაშვილი

# ათამდე მაინც დაითვალე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი კარლო ფაჩულია

იმ დღესაც ჩვენი ერთერთი სკოლის ამხანაგის, მზიას დაბადების დღეს, მის ოჯახში შევიკრიბეთ. ჩვენი მეუღლეებიანად ორმოცამდე მაინც ვიქნებოდით და სევდანარევი თუ ხალისიანად მოსაგონარი არ გველეოდა.

— გახსოვს?..

— ის თუ გახსოვს? — არ ვიცი, მერამდენედ ვიგონებდით იმას, რაც სამი ათეული წლის შილმა დაგვრჩენია.

— პო, მართლა, გაიგეთ? — მოგონებები შეგვაწყვეტინა ლიამ, გიას ის თავისი მზეთუნახავი ცოლი მიუტოვებია და ისეთი შეურთავს...

— ახალი ამბავი! გავიგე კი არა, საკუთარი თვალით ვნახე. შარშან ქუჩაში შემხვდნენ და მისალოცად ენა ვერ მომიბრუნდა.

— რომელს გაგიგიათ, კაცს კარგი ცოლი კიდევ უფრო უკეთესით შეეცვალოს?

— აფსუს! გიახთანა ბიჭი ხომ ჩვენს სკოლაში არც დადიოდა!

— პირველ ცოლს ხომ იცნობდით?

— ანგელოზს ჰგავს. ისე, ყური მომიკრავს, უხასიათოაო, მაგრამ კაცს რომ ეშმაკი შეუჩნდება და ოჯახს დაანგრევინებს, რით აღარ იმართლებს თავს!

— სად მუშაობს გია, ვინ იცით?

— რაც იმან ადგილები გამოიცვალა...

— მართლაც, მართლაც.

— რა ხანია, აღარ მინახავს! დღეს მაინც თუ მოვა? — შევეკითხეთ მზიას.

— თუ ისევ არ მომატყუა, დამპირდა აუცილებლად მოვალო.

— ალბათ, დიდად არც კი მოუხარია ჩვენს „სამხჯავროზე"—გოგოები გამადიდებელ შუშებს რომ მოვიმარჯვებთ და...

— მერედა ვინ აძალებდა, რომ...

სიტყვა ზარის ხმამ შეგვაწყვეტინა.

— ოოო! — გაისმა შემოსასვლელთან მზიას შეძახილი და ოთახში გიამ შემოანათა. გვერდით მართლაც შეუხედავი ქალი მოჰყვებოდა. უმალვე თვალწინ დამიდგა გიას პირველი ცოლის ხატება და მომაგონდა, რა აღტაცებით ვუზიარებდი ამხანაგებს ჩემს შთაბეჭდილებას.

...პირველი უხერხული წუთების შემდეგ, საუბარი ნელ-ნელა აეწყო. თანდათან ჩვენს ახალ „რძალსაც" თვალი შევაჩვიეთ, მოგვიანოდ ძალზე სიმპათიურიც მოგვეჩვენა, კიდევ ცოტა მოგვიანოდ კი, საერთო ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა და მგონი ყველა „გაგვახუნა" კიდეც.

მაინც ასე რით მოგხიბლაო, შემეკითხებით: — საოცარი ტაქტით, ღირსეული თავდაჭერით, საინტერესო საუბრით, იუმორით. არც გულწრფელობას, არც სისადავეს ნამდვილად არ თამაშობდა, არც თავის აზრებს გვახვევდა თავს. ისეთი საოცარი უშუალო, ხალისიანი გუნებაგანწყობა შემოიტანა, რომ ყველა გაგვალაღა.

ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, ყველასთვის გასაგები იყო, რით მოხიბლა ლამარამ ჩვენი ულამაზესი სკოლის ამხანაგი და გულით ვაქებდით ქალის აღმზრდელ მშობლებს.

მაგრამ, როგორც შემდეგ თვითონ გიასგან გავიგე, პატარაობიდანვე დაობლებული და ბავშვთა სახლში მოხვედრილი გოგონა, უფრო თავად ყოფილა საკუთარი თავის აღმზრდელი.

— მართლაც ისეთია, როგორც შეგიცვნია, — მითხრა გაბრწყინებულმა გიამ, როცა ცოლი შევუქე — ის კი არა, მეც გარდამქმნა.

— შენ რა გჭირდა გარდასაქმნელი?

— ალბათ მჭირდა, თუ ერთ ალაგას ფეხს ვერ ვიკიდებდი, საოცრად ფიცხი ვიყავი, თავდაუჭერელი.

— სკოლაში რომ არ გემჩნეოდა...

— ოოო... სული ყელში მქონდა მობჯენილი და სულ ოდნავ წინააღმდეგობასაც ვერ ვიტანდი — ან ვისმე ვჟეჟავდი, ან მე მჟეჟავდნენ... შემდეგ ინსტიტუტი, ოჯახი. ხომ მშვენიერი იყო ჩემი პირველი ცოლი — განათლებულიც, წესიერიც, კარგი დიასახლისიც, კეთილიც, მაგრამ შევხვდით ერთმანეთს ქვა და სეტყვა! ზოგჯერ სულ უმნიშვნელო წვრილმანზე შევყვებოდით და ბოლოს უკვე ისე დავაგლიჯეთ ერთმანეთს ნერვები, რომ ადამიანად აღარ ვვარგოდით. ეს კი, — ეს არასოდეს არ კარგავს წონასწორობას. არა თუ არ შემებმება, — ოდნავ ხმას არ აუწევს. თუ რამე უტაქტობა შემნიშნა, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შემახსენებს. მისგანვე ვისწავლე: როგორც არ უნდა მაწყენინონ, სანამ პასუხს დავუბრუნებ, გულში ათამდე მაინც დავითვლი, ანდა ოთახიდან გავალ, რომ გული დავიმშვიდო, სამართლიანად განსჯის უნარი დავიბრუნო. თვითონ კი... ერთი სიტყვით, მისგან გულნატკენს მასზე განაწყენებულს ვერც სამსახურში, ვერც მეზობლებში, ვერც ნათესავ-მეგობრებში ვერ ნახავ.

— საოცარია, არადა, ამბობენ, ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება დაბადების პირველი დღეებიდანვე იწყება და გარკვეული ასაკის შემდეგ მისი გარდაქმნა შეუძლებელიაო.

— შეიძლება, თურმე თუ მოინდომე, შეიძლება! განა არ შეგიმჩნევია, როგორ იცვლებიან უცხო გარემოში ხანგრძლივად მოხვედრილი ადამიანები, როგორ ითვისებენ სხვა ხალხის ქცევებს, მანერებს, სიტყვა-პასუხს. ადამიანმა უნდა შეიცნოს საკუთარი ხასიათი და ეცადოს დაძლიოს, რაც ნაკლი აქვს.

აი, თუ რაიმე ფიზიკური ნაკლი გაგვაჩნია, ხომ მივმართავთ ექიმს, კოსმეტოლოგს? ან თუ ჩვენი პროფესია არ გვაკმაყოფილებს, ხომ ვცდილობთ მის შეცვლას? მართალია, ხასიათის შეცვლა, საკუთარი თავის აღზრდა, ბევრად უფრო რთულია, მაგრამ ის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია, აუცილებელი.

აი, მე როცა ახლა ვინმეს ვეკამათები, ჩემი ლექსიკიდან სამუდამოდ ამოღებული მაქვს კატეგორიული: „ეს ასეა", „შენ სცდები", „ყოვლად დაუშვებელია" და სხვა მისთანანი და შევცვალე: „ჩემი აზრით", „მე მგონია", „იქნებ, ასე უფრო სწორი იყოს"... დიდად განათლებული, ერუდირებული კაცი ხარ? — ამას რა სჯობს! მაგრამ, თურმე, არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ ყოველივე ეს შერწყმული უნდა იყოს ასევე დიდ ადამიანურ ღირსებებთან: თავმდაბლობასთან, თავდაჭერილობასთან, მოკრძალებასთან.

ადამიანი იმითაც ფასობს, თუ რამდენად ახერხებს თავისი ინსტიქტების ალაგმვას, რამდენადაც ძალუძს, საკუთარი ფიზიკური და სულიერი ენერგია ჩააყენოს ქვეყნის, საზოგადოების და... საკუთარი ოჯახის ბედნიერების სამსახურშიც.

ერთხანს ვდუმდით.

— წეღან ვერ გიპასუხე, — ჩამესმა ისევ გიას ხმა — ბოლო წლებამდე ფეხს ვერსად ვიკიდებდი, — ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი. დილით ოჯახიდან რომ გუნებაარეული გამოვიდოდი, იმ დღეს კონფლიქტი კონფლიქტზე მომდიოდა. არავის ვუსმენდი, არავითარ შენიშვნას არ ვიღებდი. ბოლოს ერთმა მეგობარმა „თავი გადასდო" და გულახდილად მითხრა ყველაფერი, რასაც ჩემზე ფიქრობდნენ თურმე... რომ მე უხეში ვარ, ქედმაღალი, რომ ჩემი კულტურა და განათლებაც მოჩვენებითია, რადგან თავდაჭერის ელემენტარული უნარიც კი არ გამაჩნია და ამ საშინელი თვისებებით ყველას თავი მოვაძულე.

ხომ წარმოგიდგენია, როგორ გავცოფდებოდი! ძლივს გამაკავეს. კარგა ხანს მისთვის ხმა აღარ გამიცია, ასე როგორ გამიმეტა მეთქი, ვფიქრობდი. მერე სასოწარკვეთილებამ შემიპყრო... ამას წინათ კი მივედი და მაშინდელი შეურაცხყოფისათვის ბოდიში მოვუხადე.

— ახლა?

— სამსახურზე მეკითხები? — ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგად, რა თქმა უნდა, საქმიანი შეკამათებაც მიხდება, ჩემი აზრის სისწორის დაცვაც, მაგრამ ხანამ ზოგჯერ ვინმეს უხეშ გამოწვევას შევეპასუხები ჩვევად მექცა: ფიქრში ათამდე მაინც დავითვალო...



# „ბროლის ქოშის" მფლობელი გოგონა

ქართული მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო 15 წლის ირმა ყიფშიძემ.

ეს ტანწერწეტა, ნუკრისთვალება, ერთი შეხედვით მეტად ამაყი, მაგრამ უფრო მეტად თავმდაბალი და ზრდილი გოგონა, რომელიც მუდამ ყურადღებიანია უფროსებისა და თანატოლების მიმართ, ყველასთან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

ირმას ძალიან უყვარს მათემატიკა, სკოლაში კარგად სწავლობს, მაგრამ მისი დიდი გატაცება, მისი სულიერი საზრდო ტანვარჯიშია. მისი ყოველი წუთი, ყოველი საათი, რომელსაც იგი სავარჯიშო მოედანზე ატარებს, მაგალითია იმ დიდი შთაგონებული შრომისა, ურომლისოდაც სპორტის ნებისმიერი სახეობა დაჰკარგავდა პეწსა და ლაზათს.

შარშან აპრილში, თბილისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში „საქართველოს ქალის" პრიზზე. „მშვენიერთა" შორის გამოარჩიეს აქ ირმა და ტურნირის ყველაზე გრაციოზულ ტანმოვარჯიშედ აღიარეს. ეს იყო ირმას პირველი „მეჯლისი", ეს იყო ირმას „აღმოჩენა"! ამის შემდეგ ბევრჯერ ისახელა თავი: გახდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ცალკეულ სახეობებში; ხოლო პირველ საკავშირო ჭაბუკთა თამაშობებზე ირმამ და მისმა თანაგუნდელმა 13 წლის თინათინ ნადირაშვილმა 160-ზე მეტი ქულა შემატეს საქართველოს დელეგაციას.

შარშან დეკემბრის ბოლოს ხარკოვის საერთაშორისო ტურნირზე ირმა ცალკეული სახეობების პრიზიორი გახდა და როგორც მხატვრული ტანვარჯიშის ილეთების ყველაზე საუკეთესო შემსრულებელმა, „ბროლის ქოში" დაიმსახურა.

1985 წლის შედეგების მიხედვით ი. ყიფშიძე საერთაშორისო ნაკრებ გუნდში შეიყვანეს. 1986 წლის იანვარში იგი მოსკოვში გაემგზავრა და შეუერთდა ჩვენი ქვეყნის წამყვან ტანმოვარჯიშეებს. გვჯერა რომ ეს ჩუმი, ენერგიული გოგონა მუდამ ღირსეულად იტყვის თავის სპორტულ სიტყვას.

ნელი სალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერი ქალი



გ. სანაიას ფოტო

ძვირფასო კოლეგა!

ულრმეს მადლობას გიხდით თქვენი ახლად გამოცემული წიგნის „თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზის" გამოგზავნისათვის. მე მხოლოდ ნაწილობრივ ვიცნობ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს, თქვენი ერუდირება, ცოდნა კი დამეხმარება საფუძვლიანად, დეტალურად შევისწავლოთ ეს რთული და საინტერესო ხანა. ჩემთვის უკიდურესად ძნელი გასაგები იყო წინააღმდეგობებით აღსავსე XVIIდა XVIII სს. ქართველი პოეტების ნაწარმოებები, ახლა კი გავერკვიე, თუ რა დიდი საერთოა ამ პერიოდის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურასთან. პერსპექტივებიც დიდი ჩანდა და შემდგომ საუკუნეებში ეს პერსპექტივა გარდაიქმნა. გულწრფელ მადლობას გიხდით ჩემი ასეთი გათვითცნობიერებისათვის".

ეს წერილი ქართველმა მეცნიერმა ქალმა, რუსთველოლოგმა მერი გუგუშვილმა ინგლისელი ქართველოლოგის, რობერტ სტივენსონისაგან მიიღო, ამგვარი მადლიერების გრძნობით გამთბარი სტრიქონები მას მრავალჯერ მიუღია. ჩვენი ტრადიციებით მდიდარი ქართული ლიტერატურის კვლევა ბევრ ღამეს ატეხინებს, მაგრამ არც ნანობს, რადგან ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნაღვაწის წარმოჩენა საკუთარ მოწოდებად მიაჩნია.

ლიტერატურის სიყვარული მერის ოჯახში გაუღვივა მამამ. ილია გუგუშვილს ქართული მწერლობის თაყვანისმცემლად იცნობდნენ, ხოლო დედის, შუშანა იაკობაშვილის ოჯახი საჩხერეში, სოფელ ჩიხაში დიდი მწიგნობრობით იყო განთქმული. მერის ბაბუის, სტაროსელსკის მოწაფის, შესანიშნავი მევენახის გრიგოლ იაკობაშვილის სახლში გაიხსნა საჩხერის პირველი სკოლა, რომელიც ცნობილი პედაგოგის ყარამან ჩხეიძის სახელით არის ცნობილი, იაკობაშვილების ოჯახის დიდი პაპა იოსები, საჩხერის სტამბის მკინძავი ყოფილა და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, რომელიც დღესაც შეშურდებოდათ უნიკალური წიგნების მოყვარულთ.

ილია გუგუშვილის ოთხი ქალიშვილი ზაფხულს ჩიხაში ატარებდა და პირველად აქ გაეცნენ ისინი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებს. მათგან მერი უფროსია და პირველმა გამოიჩინა თავი ქართული ლიტერატურის ღრმა ცოდნით. მომდევნო ქალიშვილმა ლეილამ საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხებზე დაიცვა. ელიზამ ტექნიკური მეცნიერება აირჩია და დღეს ჩვენი დედაქალაქის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილეა, ლუციანაც უფროსი დის კვალს გაჰყვა, იგი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერი თანამშრომელია.

როცა მერის უნივერსიტეტში პირველი ლექცია აკადემიკოსმა ვ. თოფურიამ წაუკითხა, მან თითქოს აირჩია მომავალი სპეციალობა და გადაწყვიტა ენათმეცნიერების საფუძვლებს დაუფლებოდა. ყოველ ზაფხულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საენათმეცნიერო მივლინებაში ატარებდა. II კურსის სტუდენტი იყო, როცა მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი ილია ჭავჭავაძის ენის შესახებ სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში დაიბეჭდა. მის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ტექსტი შემდეგ კვლავ გამოაქვეყნა პროფესორმა არამ მარტიროსოვმა წიგნში „კახური დიალექტი".

მდიდარი ქართული ენის კვლევის სურვილმა მიიყვანა მერი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძიებამდე, მისი ესოდენ დიდი ინტერესი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებისადმი შეუმჩნეველი არ დარჩა აკადემიკოს ალ. ბარამიძეს და მერი მისი ხელმძღვანელობით აგრძელებს მუშაობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს რეკომენდაციით მერი გუგუშვილი ჩაირიცხა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ასპირანტად, ძველი ქართული ლიტერატურის, საკუთრივ რუსთველოლოგიის სპეციალობით.

მერი გუგუშვილმა იპოვა თავისი მოწოდება — ჩვენი ეროვნული გენიის — რუსთველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის" პრობლემების მეცნიერული კვლევა; სწორედ რუსთველოლოგიის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას — „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის საკითხს მიუძღვნა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა. იგი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ვარიანტების გამოსაცემად მომზადების საქმეში, მანვე მოამზადა ვარიანტების მე-3 ტომი, რითაც თავისი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის მომზადების საქმეში.

განსაკუთრებით საინტერესო და შრომატევადი მუშაობა ჩაატარა მკვლევარმა ქალმა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ლალი ძოწენიძესთან ერთად აკადემიკოს ნიკო მარის არქივის შესასწავლად. ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდნენ ნ. მარის გამოუქვეყნებელ ნაშრომებს. გამოსაცემად მოამზადეს ორი წიგნი — ნ. მარი — „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საკითხები", რომელიც უკვე დაიბეჭდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ნ. მარის ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც მალე გამოქვეყნდება.

ათ წელზე მეტი იმუშავა მეცნიერმა ქალმა რუსთაველისა და აღორძინების ხანის მწერლობის საკითხებზე. ეს იყო მეტად საინტერესო პრობლემა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და ამიტომაც სპეციალისტების დიდი ინტერესი და მხარდაჭერაც ჰპოვა. წიგნში „პოლემიკა რუსთაველის გარშემო“, რომელიც 1966 წელს გამოიცა, საკითხები ახლებურად არის გადაჭრილი. სწორედ ეს წიგნი დაედო საფუძვლად სადოქტორო დისერტაციას, „რუსთაველი და აღორძინების ხანის ქართული მწერლობა“, რომელშიც მეტად საინტერესო პრობლემა მკვლევარმა ქალმა ახალი ასპექტით დაგვანახვა. მან წარმოაჩინა და გააანალიზა შოთა რუსთაველის გავლენა და მის ირგვლივ გაშლილი ოთხასწლოვანი იდეური პაექრობა, რაც XV-XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებშია ასახული. მერი გუგუშვილმა ამ ნაშრომით მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა.

18537

დოქტორი ქალი ყველა თავის გამოკვლევაში ემყარება მხოლოდ პირველწყაროებს, გულმოდგინედ მუშაობს უშუალოდ ხელნაწერებზე, ეცნობა მდიდარ საარქივო დოკუმენტაციებს და, რაც მთავარია, კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს აქამდე გამოთქმული შეხედულებების მიმართ, თუმცა კამათის დროს არასოდეს ივიწყებს ეთიკას, მისი პაექრობა ამა თუ იმ საკითხზე მეტად მოკრძალებულია, მაგრამ პრინციპული და დასაბუთებული.

მერი გუგუშვილმა კვლევის დროს გამოავლინა ტექსტოლოგ-რუსთველოლოგის ბევრი კარგი თვისება, ტექსტის ფილოლოგიური ანალიზის უნარი, „ვეფხისტყაოსნისა“ და აღორძინების ხანის მწერლების ნაწარმოებთა შედარებითი შესწავლის შედეგად მრავალი საყურადღებო შესწორება შეიტანა როგორც რუსთველის, ისე აღორძინების ხანის მწერალთა ნაწარმოებებში. მისი ტექსტოლოგიური ძიებები ყოველთვის ღრმად არგუმენტირებულია. ამასთან მკვლევარი კარგად არის ორიენტირებული სამეცნიერო მეთოდებსა და თეორიებში.

დღეს მერი გუგუშვილი რუსთველის ერთ-ერთ საიმედო სპეციალისტად არის აღიარებული.

ქართული პოეზიის უზომო თაყვანისცემამ დააწერინა მას წიგნი — „რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში“, რომელშიც გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდია ქართულ ლიტერატურაზე „ვეფხისტყაოსნის“ ზემოქმედება და როგორ შემოქმედებითად ითვისებს რუსთველურ მხატვრულ აქსესუარებს დიდი პოეტი.

რამდენიმე წელი გულმოდგინედ, დიდი რუდუნებით სწავლობდა მკვლევარი ქალი თეიმურაზ პირველის მემკვიდრეობას. ტექსტზე მუშაობასთან ერთად მან შეისწავლა ის ეპოქა, რომლის დროსაც მოღვაწეობდა აღორძინების ხანის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი, შეაჯერა ქართული და უცხოური წყაროები და მკითხველს მიაწოდა მონოგრაფია ორ წიგნად: „თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა“ და „თეიმურაზ პირველი, — შემოქმედებითი პორტრეტი“. ამ წიგნებმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. თეიმურაზის ეპოქის წარმოჩინებითა და მწერლის შემოქმედებითი პორტრეტის დახატვით მეცნიერმა ქალმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ფართოა მკვლევარის თვალსაწიერი. მან დაწერა რამდენიმე ნარკვევი რუსთველოლოგიის სახელმძღვანელოსათვის. მ. გუგუშვილმა მეტად საინტერესო მონოგრაფია მიუძღვნა მწერალსა და პუბლიცისტს, გულმხურვალე მამულიშვილს ალექსანდრე სარაჯიშვილს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა რუსთველოლოგიაში.

ჰ0-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია მ. გუგუშვილი, თითოეული მათგანი ჩვენი მდიდარი ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხს შეეხება. მერის დინჯი, ღრმამეცნიერული მსჯელობა მრავალ გაურკვეველ საკითხს ფენს შუქს და ეს პატარა საერო საქმე როდია.

უშურველი და უანგარო მეგობრობა შეუძლია მერის. იციან მეგობრებმა და კოლეგებმა უდროობის ჟამსაც რომ მათთვის დროს გამონახავს, საქმიან დახმარებას გაუწევს. ამიტომაც მეგობრების ფართო წრითაა იგი გარშემორტყმული. ყველა გულით მიისწრაფვის ესტუმროს მერი გუგუშვილის ოჯახს, სადაც დახვდებათ სიყვარულით, ურთიერთგაგებით გამთბარი გარემო, საინტერესო საუბარი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე...

განსაკუთრებით ყურადღებიანი და მომთხოვნია პატივცემული პროფესორი თავისი სტუდენტების მიმართ, იგი დიდი პედაგოგიური ალღოთია დაჯილდოებული. მის ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტში, თუ სოხუმის უნივერსიტეტში სტუდენტები დიდი გულისყურით ისმენენ და სწავლობენ. ხშირად ტელემაყურებლების წინაშეც გამოდის მკვლევარი ქალი და მსმენელებს მშობლიური ლიტერატურისადმი დიდი თაყვანისცემით განაწყობს.

მეცნიერული კეთილსინდისიერება მერის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. ეძიებს, იკვლევს, რუდუნებით ჩაჰკირკიტებს ჩვენი ერის ძველ, სათაყვანებელ ხელნაწერებს, თანამედროვეობის თვალთახედვით გაიაზრებს და მიაქვს მკითხველთა, მსმენელთა გულამდე. ამიტომაც მეცნიერის ნააზრევისადმი გულგრილი არავინ რჩება.

ᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲒᲣᲐ,
კულტურის დამსახურებული მუშაკი.

## ᲕᲐᲓᲘᲓᲝᲗ

ომის ქარცეცხლში მამული ასახელეს,
მოყვარე მოყვარედ ცნეს,
ომში დაღუპულებს ხსოვნა, ობელისკი,
ომის ვეტერანებს თაყვანი ვცეთ.

მათ თავთან მალი-მალ ტყვიები ზუოდნენ,
სამაგიერო მიუზღეს მტერს,
ცხოვრება უნდა გავულამაზოთ
ომის ვეტერანებს ჩვენ.

მათ სულის ჭრილობებს მალამოდ დავედოთ,
რომ კვლავაც იარონ მხნედ,
სიცოცხლე უნდა გავუხანგრძლივოთ
ომის ვეტერანებს ჩვენ.

ქვემეხთა გრიალში ათენ-აღამებდნენ,
გაჩენა ანანეს მტერს,
მოდით, დავლიოთ ძმებო სადღეგრძელო
ომის ვეტერანთა, ჩვენ!

ომში დაღუპულებს ხსოვნა, ობელისკი,
ვიფიცოთ სულ მათი მზე,
რადგანაც ამ ქვეყნად სიცოცხლე გვაჩუქეს
მშვიდობა დაგვიმკვიდრეს ჩვენ!

ᲚᲘᲚᲘ ᲑᲝᲑᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ



საქ. სსრ კ. მარქსის

# სცენაზე ლამაზი სიცოცხლე



თბილისის მეორე საშუალო სკოლის 1937 წელს კურსდამთავრებულებმა, გამოსაშვებ საღამოზე სახელგანთქმული მსახიობი შალვა ღამბაშიძე მიიწვიეს. საპატიო სტუმარს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. ბავშვივით ხარობდა სახელმოხვეჭილი მსახიობი და ქართული სცენის დიდოსტატი, მახვილი თვალით აკვირდებოდა სცენისმოყვარე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ხიბლავდა ყველაფერი, მოსწონდა ყველა, განსაკუთრებით ერთი გოგონა, გვარი იკითხა და დასძინა — „ეს საოცარი თვალები დიდი სცენიდან უნდა ბრწყინავდნენო!"

მეორე დღეს, 17 წლის თვალმშვენიერ ქეთევანს მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში ხელგადახვეული შეუძღვა შალვა ღამბაშიძე...

სტუდიური მეცადინეობისა და აქტიორული ხელოვნების საიდუმლოებათა დაუფლების გზაზე, რეჟისორ ნ. გოძიაშვილს (რომელიც იმხანად ფოთის სახელმწიფო თეატრს ედგა სათავეში), ყურადღებიდან არ გამორჩენია სტუდიელი ქეთევან ნაჭყებიას შემოქმედებითი ზრდა, მისი მონაცემები, წყნარი, გამართული მეტყველება. იმხანად ნ. გოძიაშვილი შალვა დადიანის დრამის „რუსთაველის" დადგმას აპირებდა ფოთის თეატრში. თამარ მეფის როლზე ახალგაზრდა ქეთევანი მიიწვია.

მაშ, ასე, პირველი როლი თამარ მეფე. სხვა რა შეიძლება ინატროს 18 წლის, თეატრზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ახალბედა მსახიობმა. ზერელე გრიმიც კი საკმარისი აღმოჩნდა მეფე-ქალის სახის დამაჯერებლობისათვის, ყურადღება მიიქცია ქალიშვილის დახვეწილმა ქმედებამ, დედოფლურმა სიზვიადემ. მოიხიბლა ფოთის საზოგადოება და სიყვარული გამოუცხადა ახალბედა შემოქმედს. კოლხიდის სცენაზე — პირველი ნაბიჯით გამარჯვებული მსახიობი — „კოლხიდელად" მოინათლა. პირველ აფიშებსა და პროგრამებში გაჩნდა ახალი სახელი: „ქეთევან კოლხიდელი", თეატრალურმა სამყარომაც და მაყურებელმაც დასტური მისცა მის სცენურ თუ ცხოვრებისეულ ნათლობას.



ჰიუგო. „ანჟელო" — კატარინა

პირველ სპექტაკლს ავტორი, გამოჩენილი ქართველი მწერალი და თეატრალი შალვა დადიანი ესწრებოდა; თავისი აღფრთოვანება ღირსეული საჩუქრით გამოხატა და 18 წლის მსახიობს რომანი „გიორგი რუსი" უსახსოვრა, რომელიც გულწრფელი სტრიქონებით დაამშვენა: „ჩემს პატარა გოგონას, ნიჭიერ მსახიობს, წარმატების სურვილებით". ქეთევანი დღემდე გამორჩეულად და სათუთად ინახავს სახსოვარს.

გადიოდა წლები, მაყურებლის სიყვარულით ავსილი წლები და ქეთევანი რწმუნდებოდა პროფესიის სწორ არჩევანში, შალვა ღამბაშიძის უტყუარ ალღოში.

1951 წელს რეჟისორმა დოდო ანთაძემ, რომ იტყვიან „მოიტაცა" კოლხიდელი და ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დასში ჩარიცხა; სიხარული არ დაუმალია ქეთევანს, რადგან ქუთაისში მოღვაწეობა მისი დიდი ხნის სურვილი იყო. ქუთაისის თეატრში ხომ თავის სათქმელს ამბობდნენ ქართული თეატრის კორიფენი ან. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, ც. ამირეჯიბი, თ. ღვინიაშვილი, კ. აბესაძე, ქეთევანის თაობის წარმომადგენლები იპ. ხვიჩია, მ. გელაშვილი, თ. კიკნაძე, შ. პირველი, ვ. მეგრელიშვილი, შ. ქელბაქიანი, გ. ნაცვლიშვილი, მ. აჭარაძე, თ. პაკროვსკაია, გ. და ბ. კოკელაძეები და ბევრი სხვა. ქუთათურებმა მსახიობი გაიანეს სცენური სახით გაიცნეს.

დაუვიწყარია მსახიობისათვის 1954 წელი, როცა თეატრის ახალი შენობა გაიხსნა ლ. ქიაჩელის პიესით „ტარიელ გოლუა" (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე), სადაც ქეთევანმა თინას როლი განასახიერა.

ქუთაისელი მაყურებელი ვერ დაივიწყებს ბ. შოუს „ეშმაკის მოწაფის" გმირ ქალს ჯუდიტს, რომელიც შინაგანი ლირიზმით, ქალური სიფაქიზით გამოძერწა კოლხიდელმა. პატიოსნებისა და კდემამოსილების განსახიერება იყო მისი ორი კატერინა — ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილისა" და ვ. ჰიუგოს „ანჟელოში". ორი ქალის ტრაგედია სავსებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პირველი წმინდა რუსული ხასიათი გახლდათ — მომხიბვლელი და სათნო, მეორე კი ფრანგი დედოფლის სინარნარით დამშვენებული, ევროპულ ყაიდაზე ჩამოსხმული. შინაგანი სიძლიერით, ფსიქოლოგიური სიმართლითა და საინტერესო სცენური მიგნებებით ბრწყინავდა ქეთო კოლხიდელის მიერ გაცოცხლებული რომაელი ბანოვანი სემპრონია „გაიუს გრაკხში". ეს იყო მსახიობის ჭეშმარიტი გამარჯვება. დიდი დაკვირვებით იყო შექმნილი რომაელი ქალის კოლორიტული ტიპაჟი, სახის სკულპტურულობასთან ერთად სრულყოფილად იკვეთებოდა საერთო საქმისადმი თავდადებული, პატრიოტი, ამაყი ქალის ხასიათი. განსაკუთრებით ძლიერი იყო კოლხიდელი სპექტაკლის ფინალში — ძუ ვეფხვივით შემართული, მამაცი და უშიშარი.

ცოტაჯერ როდი სწვევია გამარჯვება ქეთევანს, მაგრამ აქტიორული ბედნიერება, დეზდემონას ფაქიზმა სახემ მოუტანა. მშვენივრად გააცოცხლა იგი ქეთევანმა ჯერ ფოთის თეატრის სცენაზე, სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა რეჟისორების დადგმით.

„დეზდემონობა" დაებედა და ეწირებოდა კიდეც არაერთი სახელგანთქმული შემსრულებელი მავრის სიყვარულს. მშვენიერი იყო მეგრელიშვილ-კოლხიდელის ერთ სულად შეკრული წყვილი ოტელოსა და დეზდემონასი. ქალურობა იყო უწინარესი ღირსება ოქროსფერკულულებიანი ვენეციელი ასულისა. ვერც ქუთაისი და ვერც თვით ქეთევანი ვერ დაივიწყებენ ა. ხორავასა და აკ. ვასაძის გასტროლებს, ამ ორ ბუმბერაზ აქტიორთან იდგა ქეთევან კოლხიდელის — დეზდემონა, უფაქიზესი ქალი, სათნო და გულუბრყვილო, ბოროტების ქსელში უნებლიედ გახლართული კეთილი ფერია...



ლ. ქიაჩელი. „ტარიელ გოლუა" — თინა

სპექტაკლის შემდეგ აკაკი ხორავამ ორი ვარდით გადაუხადა მადლობა ასეთი მშვენიერი პარტნიორობისათვის.

ქეთევან კოლხიდელისათვის მეტად ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული იყო სახელგანთქმულ მსახიობთან და რეჟისორთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტთან აკაკი ვასაძესთან მუშაობის წლები.

აკაკი ვასაძის ქუთაისში მოღვაწეობის დროს შეიქმნა მეტად საინტერესო სპექტაკლები მსოფლიო კლასიკოსთა, რუს და ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებისა. ექვს წარმოდგენაში: შექსპირის „რიჩარდ მესამე", შ. დადიანის „გუშინდელნი", „ღალატი", „მოგზაურობა სამ დროში", „ოტელო", „ნერონი" — ამ დადგმებში უშუალოდ აკაკი ვასაძის პარტნიორი გახლდათ ქეთევანი. ელისაბედ დედოფალი, ნერონის მეუღლე პოპეა და კნეინა ჩიტუნია მსახიობის მიერ უზადოდ შესრულებული სცენური სახეები იყო. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქეთევანის ზეინაბს ა. სუმბათაშვილის „ღალატის" ვასაძისეულ დადგმაში. გმირის ბუნების სწორი ჩვენებით, კარგად მიგნებული დეტალებით მან მხატვრულად სრულფასოვანი, სცენურად შთამბეჭდავი სახე შექმნა. მისი ზეინაბისთვის უცხო იყო ცრუ პათეტიკა, ყალბი ნიუანსები, ყველაფერი შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო. ჩვენს წინ იდგა მამულისათვის ტანჯული ერის ქალი.

ყველასათვის მოულოდნელი იყო ქეთევან კოლხიდელის მიერ განსახიერებული ღრმა კომედიური ზეფორე პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარაში". ეს იყო მსახიობის სრული გარდასახვა. წარმატებით განხორციელდა შექსპირის ტრაგედია „კორიოლანუსი" ქუთაისის თეატრის სცენაზე (რეჟისორი გ. ქავთარაძე). და ამ წარმატებისათვის გარკვეული წვლილი გაილო ქეთევან კოლხიდელმა კორიოლანუსის დედის ვოლუმნიას სცენური სახის შექმნისას. იგი წრფელი განცდით იზიარებდა შვილისა და რომის ბედს.

სიმწიფისა და ოსტატობის მეორე დიდი სიცოცხლე ისევ გასავლელია. ტყუილად კი არ სწერს ოთარ მამფორია:

„შემოდგომის ქარი დაჰქრის
მთაში ზამთრის თოვლი დნება.
სცენიური გაზაფხული
ისევ ისე მოფრინდება,
რომ ქეთევან კოლხიდელი
ჩანს მედეა კოლხიდელად".

ჯერ ჭაღარა არ მომძლავრებულა. სიკისკასე არ დაუკარგავს მის ელვარე თვალებს, არ გამქრალა მისეული ლირიზმი. დრო კვლავაც ბევრ სიხარულს მოუტანს მსახიობს და მის დამფასებელ მაყურებელს.

კირა კვეიძე

# სიცოცხლეა

ქუთაისელი მაყურებელი ვერ დაივიწყებს ბ. შოუს „ეშმაკის მოწაფის“ გმირ ქალს ჯუდიტს, რომელიც შინაგანი ლირიზმით, ქალური სიფაქიზით გამოძერწა კოლხიდელმა. პატიოსნებისა და კდემამოსილების განსახიერება იყო მისი ორი კატერინა — ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილისა“ და ვ. ჰიუგოს „ანჟელოში“. ორი ქალის ტრაგედია სავსებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პირველი წმინდა რუსული ხასიათი გახლდათ — მომხიბვლელი და სათნო, მეორე კი ფრანგი დედოფლის სინარნარით დამშვენებული, ევროპულ ყაიდაზე ჩამოსხმული. შინაგანი სიძლიერით, ფსიქოლოგიური სიმართლითა და საინტერესო სცენური მიგნებებით ბრწყინავდა ქეთო კოლხიდელის მიერ გაცოცხლებული რომაელი ბანოვანი სემპრონია „გაიუს გრაკხში“. ეს იყო მსახიობის ჭეშმარიტი გამარჯვება. დიდი დაკვირვებით იყო შექმნილი რომაელი ქალის კოლორიტული ტიპაჟი, სახის სკულპტურულობასთან ერთად სრულყოფილად იკვეთებოდა საერთო საქმისადმი თავდადებული, პატრიოტი, ამაყი ქალის ხასიათი. განსაკუთრებით ძლიერი იყო კოლხიდელი სპექტაკლის ფინალში — ძუ ვეფხვივით შემართული, მამაცი და უშიშარი.

ცოტაჯერ როდი სწვევია გამარჯვება ქეთევანს, მაგრამ აქტიორული ბედნიერება, დეზდემონას ფაქიზმა სახემ მოუტანა. მშვენივრად გააცოცხლა იგი ქეთევანმა ჯერ ფოთის თეატრის სცენაზე, სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა რეჟისორების დადგმით. „დეზდემონობა“ დაებედა და ეწირებოდა კიდეც არაერთი სახელგანთქმული შემსრულებელი მავრის სიყვარულს. მშვენიერი იყო მეგრელიშვილ-კოლხიდელის ერთ სულად შეკრული წყვილი ოტელოსა და დეზდემონასი. ქალურობა იყო უწინარესი ღირსება ოქროსფერკულულებიანი ვენეციელი ასულისა. ვერც ქუთაისი და ვერც თვით ქეთევანი ვერ დაივიწყებენ ა. ხორავასა და აკ. ვასაძის გასტროლებს, ამ ორ ბუმბერაზ აქტიორთან იდგა ქეთევან კოლხიდელის — დეზდემონა, უფაქიზესი ქალი, სათნო და გულუბრყვილო, ბოროტების ქსელში უნებლიედ გახლართული კეთილი ფერია...



ლ. ქიჩელი. „ტარიელ გოლუა“ — თინა

სპექტაკლის შემდეგ აკაკი ხორავამ ორი ვარდით გადაუხადა მადლობა ასეთი მშვენიერი პარტნიორობისათვის.

ქეთევან კოლხიდელისათვის მეტად ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული იყო სახელგანთქმულ მსახიობთან და რეჟისორთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტთან აკაკი ვასაძესთან მუშაობის წლები.

აკაკი ვასაძის ქუთაისში მოღვაწეობის დროს შეიქმნა მეტად საინტერესო სპექტაკლები მსოფლიო კლასიკოსთა, რუს და ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებისა. ექვს წარმოდგენაში: შექსპირის „რიჩარდ მესამე“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, „ღალატი“, „მოგზაურობა სამ დროში“, „ოტელო“, „ნერონი“ — ამ დადგმებში უშუალოდ აკაკი ვასაძის პარტნიორი გახლდათ ქეთევანი, ელისაბედ დედოფალი, ნერონის მეუღლე პოპეა და კნეინა ჩიტუნია მსახიობის მიერ უზადოდ შესრულებული სცენური სახეები იყო. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქეთევანის ზეინაბს ა. სუმბათაშვილის „ღალატის“ ვასაძისეულ დადგმაში. გმირის ბუნების სწორი ჩვენებით, კარგად მიგნებული დეტალებით მან მხატვრულად სრულფასოვანი, სცენურად შთამბეჭდავი სახე შექმნა. მისი ზეინაბისთვის უცხო იყო ცრუ პათეტიკა, ყალბი ნიუანსები, ყველაფერი შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო. ჩვენს წინ იდგა მამულისათვის ტანჯული ერის ქალი.

ყველასათვის მოულოდნელი იყო ქეთევან კოლხიდელის მიერ განსახიერებული ღრმა კომედიური ზეფორე პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარაში“. ეს იყო მსახიობის სრული გარდასახვა. წარმატებით განხორციელდა შექსპირის ტრაგედია „კორიოლანუსი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე (რეჟისორი გ. ქავთარაძე). და ამ წარმატებისათვის გარკვეული წვლილი გაიღო ქეთევან კოლხიდელმა კორიოლანუსის დედის ვოლუმნიას სცენური სახის შექმნისას. იგი წრფელი განცდით იზიარებდა შვილისა და რომის ბედს.

სიმწიფისა და ოსტატობის მეორე დიდი სიცოცხლე ისევ გასავლელია. ტყუილად კი არ სწერს ოთარ მამფორია:

„შემოდგომის ქარი დაჰქრის
მთაში ზამთრის თოვლი დნება.
სცენიური გაზაფხული
ისევ ისე მოფრინდება,
რომ ქეთევან კოლხიდელი
ჩანს მედეა კოლხიდელად“.

ჯერ ჭაღარა არ მომძლავრებულა. სიკისკასე არ დაუკარგავს მის ელვარე თვალებს, არ გამქრალა მისეული ლირიზმი. დრო კვლავაც ბევრ სიხარულს მოუტანს მსახიობს და მის დამფასებელ მაყურებელს.

**კირა კვეიძე**

## წერილები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი დედამთილი

ფოსტა სავსეა მკითხველთა წერილებით. გვწერენ სხვადასხვა საკითხებზე. დასაბეჭდად ავირჩიეთ კონტრასტული თემა — კარგი დედამთილი და აბეზარი რძალი.

ზუგდიდიდან როზა ჯიქიას წერილი მივიღეთ. ამ შემთხვევაში რძლისა და დედამთილის ვინაობას არ ვმალავთ, პირიქით, გვინდა ყველამ წაიკითხოს და მაგალითად აიღოს ამ დიდებული ქალის, მეუღლისა და დედის ამბავი.

„დიდი ხანია მინდოდა ჩემი დედამთილის შესახებ მომეწერა, არ იფიქროთ, საქმე ეხებოდეს ყველასათვის ყბადაღებულ რძალ-დედამთილის ურთიერთობას, პირიქით, მინდა მოგწეროთ კარგი ურთიერთობის შესახებ და გაგაცნოთ ჩემი დედამთილი, როგორც თავდადებული დედა, იმერეთში აღიარებული ქალი.

48 წელია ოლია ჩუბინიძე-იაშვილი ერთ-ერთი ლამაზი სოფლის ოჯოლის ექთანი, საბებიო პუნქტის გამგეა. ექთანს ვამბობ, თორემ მისი საქმიანობა უფრო მრავალმხრივი იყო, ვის როგორ დასჭირდებოდა — გინეკოლოგი, ტრავმატოლოგი, სტომატოლოგიც კი. ვინ იცის, ხალხისთვის რა დახმარება არ აღმოუჩენია ომამდე და ომის შემდგომ წლებშიც. მას განსაზღვრული სამუშაო საათები და გამოსასვლელი დღე არასდროს ჰქონია. არც ღამე ახსოვს მშვიდი, გაჭირვებულს რომ არ დაეძახოს კართან. სოფელში „ოლია ნათლიას“ ეძახიან. როცა ვკითხე. ნათლიას რატომ გეძახიან-თქო, მიპასუხა უმრავლესობა ჩემს ხელშია დაბადებულიო. ქალებს ოჯახურ პირობებში ამშობიარებდა, სხვა გამოსავალი არ იყოო, — ამბობს ჩემი დედამთილი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, მშობიარეს არასდროს არაფერი გართულებია, ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. ახლა ამ დარგში თავს დასვენებულად თვლის, ექიმები მრავლადაა და ყველას საავადმყოფოში აგზავნის.

მაინც არ ისვენებს, ხან ერთ გორაკზე ნახავთ ასულს, ხან მეორეზე. აქეთ მხარეს მოხუცები ცხოვრობენ, წნევაა გასაზომი, ნემსები გასაკეთებელი. იქეთ ახალგაზრდა დედა გამოსულა სამშობიაროდან, რჩევა-დარიგება უნდა, რა იცის როგორ მოუაროს ჩვილს.

საღამოს სახლში დაღლილ-დაქანცული ბრუნდება. აქაც მაშინვე საქმეს იწყებს, გვეხმარება, ბავშვები მან გამაზრდევინა. უხარია შვილიშვილების ჟრიამული.

...აკვანში სამი კვირის ბიჭი დატოვა ფრონტზე მიმავალმა ოჯახის ახალგაზრდა მამამ. ჩვილს ცხვირსახოცი დააფარა და ისე აკოცა ლოყაზე — ცრემლმორეული გვიყვება მის ამბებს დედამთილი — მერე წავიდა და სულ წავიდა. მისი გაცრეცილი ბარათიდან ასეთი ფრაზა წამიკითხა: — ბიჭი არ გამიცივდეს, გამიზარდე. შენი იმედი მაქვს, ოლოლო, დედ-მამასაც მიმიხედეო...

ჩემმა დედამთილმა დედმამასაც მიუხედა, კარგი შვილიც გაზარდა, ოჯახში კაცად ჩააყენა და ძლიერი ოჯახიც დაახვედრა რძალსა და შვილიშვილებს.

ორმოცი წელი გავიდა, ის კი ყოველდღე ელოდება მეუღლეს, იქნებ ჩემი შალვა ცოცხალია, პატარა ვაჟკაცებით როგორ გავახარებო. ამ იმედით ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც უბერებელი მეუღლე, დედა და დედაბოძი ოჯახისა.

სოფელში დიდ პატივსა და სიყვარულს იმსახურებს ოლია ჩუბინიძე-იაშვილი. წლების განმავლობაში სასოფლო-საბჭოს დეპუტატია, დაჯილდოებულია ლენინის სახელობის საიუბილეო და შრომის ვეტერანის მედლებით.

ჩემი დედამთილი ოჯახის უფროსია და ასე იქნება, ვიდრე ცოცხალია. მისგან წყენა არ მახსოვს, საკუთარ დედასავით სითბო და სიყვარული შემომაგება. ერთად ვზრდით სამ ვაჟკაცს, სამ იაშვილს. ბებიას განსაკუთრებით უფროსი უყვარს, შალვას მოსახელეაო. წავიდა ერთი, მოვიდა მეორე იაშვილი, ცხოვრება გრძელდება“.

ძლიერია ის კუთხე, ის ოჯახი, ვისაც ასეთი გაუტეხელი, ენერგიული ქალი უდგას სათავეში, როგორიც ოლია ჩუბინიძე-იაშვილია.

## რძალი

მეორე წერილი დამსახურებულ ექთანს, შრომის ვეტერანს მ. რ-შვილს ეკუთვნის,

# მშრომელი კაცი

კურთხეულ იყოს მარჯვენა შენი,
მშრომელო კაცო.
ოჯახის ბურჯო, ოჯახის თავო
ხანდახან მკაცრო.
მინდა დაგლოცო, დაგილოცო ფუძე და ჭერი
მრავალ შენს მსგავსებს მოსწრებოდეს
ივერთა ერი.
შენს ფართო მკერდზე ჩამონადენ
ოფლის წვეთიდან
ამოჩუხჩუხდა ხორბლის ზღვა და
სითბო მტევნისა.
შენს ხელისგულზე გაჩენილი
ღრმა ხნულებიდან
მოდის ბარაქა, მოდის ხვავი
ჩვენი ქვეყნისა.
კურთხეულ იყოს მარჯვენა შენი
მშრომელო კაცო,
ოჯახის ბურჯო, ერის მამავ
მინდა დაგლოცო.
იყავ დღეგრძელი, იყავ მარად
ხელხვავრიელი
კურთხეულ იყოს! კურთხეულ იყოს! შენი
სახელი.

ირმა ჩაფიძე,
სოფ. გამარჯვება. საცდელი სადგურის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საოცარ უტიფრობას გვწერს თავისი ახალგაზრდა რძლის შესახებ.

„რძლად ლამაზი გოგონა ავირჩიე. ჩემი მოწონებული სარძლო ერთადერთ საფიცარ ვაჟსაც მოეწონა და ქუთაისში წავედით დასანიშნად. ჩავუტანეთ ოქროს, ბრილიანტის სამკაულები, ძვირფასი ტანსაცმელი. მამის სახლიდან პატარძალი დიდი სიყვარულითა და სიხარულით წამოვიყვანეთ.

მოდისა თუ გაურკვეველი მიზეზით ჩემი რძალი ძალიან გამხდარი იყო, არც ფეხმძიმდებოდა. ექიმებთან ვატარებდი და რასაც უნიშნავდნენ ჩემი ხელით ვუკეთებდი ნემსებს, მათივე დანიშნულებით ვკვებავდი, ხილის წვენებს ვაძლევდი. მართლაც წონაში მოიმატა, უფრო გალამაზდა და დაფეხმძიმდა კიდეც. შვილივით შევხაროდი და შევკანკალებდი. გოგონა არ მყავდა და რძალი ქალიშვილივით შემიყვარდა. თუმცა უტიფრობა თავიდანვე შევნიშნე, რასაც თანდათან ამჟღავნებდა. პირველად ამ ამბავს ყურადღებას არ ვაქცევდი, ვფიქრობდი მოფერებით გამოვზრდი, შეგვეჩვევა, შეგვიყვარებს და დატკბება თქო. მაგრამ არა, ფეხმძიმობის დროს უხეშობას მოუმატა, ახლა ამ მდგომარეობას ვაბრალებდი ყველაფერს... მერე ბავშვები დაიბადნენ და სულ გადაირია. ჩემი გამზადებული აღარაფერი მოსწონდა, ყველაფერს მიწუნებდა და მეკამათებოდა, ვამჩნევდი ვეჯავრებოდი.

შვილიშვილების დაზრდაში უხმოდ, თავაუღებლივ ვეხმარებოდი, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა თანდათან მძიმდებოდა. ამიტომ მთელ დღეებს სამსახურში ვატარებდი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც სამამულო ომში დაღუპულის ოჯახს, ოთხოთახიანი ბინა მოგვცეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მე ჩემთვის ვფიქრობდი, ერთ ოთახში ვიცხოვრებ და ალბათ, დავწყნარდებით-თქო.

როცა ახალ ბინაში გადავედით, რძალი ისე შეიცვალა, ველარ ვცნობდი. ძალიან ცუდად მექცეოდა, უბრალო რამეზე უშვერი სიტყვებით მლანძღავდა, მოკლედ ყველანაირად მავიწროვებდა. ვამჩნნევდი, ახალ ბინაში ზედმეტად მივაჩნდი.

შვილიშვილებმა ცემა რომ დამიწყეს, მაშინ მივმართე სკოლას. ჩვენს ურთიერთობაში მილიციაც ჩაერია და მთელმა გლდანის მასივმა გაიგო რძალი როგორ სცემდა დედამთილს. ახლა კი გამწარდა ჩემი ვაჟი, რძალი მთლად გალომდა — ყველანი წადით, მოშორდით, ჩემი შვილების გარდა არავინ მინდაო...

ამდენმა ჩხუბმა, ბოლმამ იმოქმედა და თავში სისხლი ჩამექცა. ვწევარ ნახევრადგათიშული, სნეული ქალი საავადმყოფოში. სახლში აღარ მიმესვლება. აღარც ბინა მაქვს და არც მყავს გულშემატკივარი.

ქალს ნაშრომს, ნაწვალებს, ყველას თვალებში შემყურეს, სიბერეში მარტოობაში, რომელიმე საავადმყოფოში ამომხდება სული..."

რედაქცია მკითხველთა წერილებს ელოდება...

# ქსოვა

ჯემპრი მიკერებული სახელოთი, სხვადასხვა წესით სრულდება. განვიხილოთ უმარტივესი მეთოდი. მოვქსოვოთ უსახელო ჯემპრი (იხ. „საქართველოს ქალი" № 10 1984. გაკვეთილი V,) გავკეროთ მხარზე და ნაწიბურზე ავკრიფოთ თვლები (იხ. ნახ. I). ვქსოვოთ მოუკლებლად იღლიის სიგანეზე. თუ განიერი სახელო გვქონდა, მოვქსოვოთ სახელოს სიგრძე მოუკლებლად. რეზინის ქსოვაზე გადასვლის წინ, გავზომოთ მაჯის სისქე, გამოვიანგარიშოთ რამდენი თვალი დაგვჭირდა მაჯის მოსაქსოვად. მაგალითად, სახელოს ვქსოვთ 100 თვალზე და მაჯისათვის გვჭირდება 60 თვალი, მაშინ რეზინის დაწყების წინ, ყოველ მესამე თვალის შემდეგ ორ თვალში ერთს გამოვქსოვთ და შემდეგ გადავალთ რეზინზე. სასურველია რეზინი მოიქსოვოს უფრო წვრილი ჩხირით. თუ მომდგარი სახელო გვინდა, მაშინ იღლიის სიგანის მოქსოვის შემდეგ ყოველ მე-5 გადასვლაზე ორივე მხრიდან მოვაკლებთ თითო თვალს. სახელოს ქსოვას რომ დავამთავრებთ, იმ ნაწილს, რომელიც მოქსოვილია დასაწყისში, მოვაკერებთ იღლიის ნაწილს და შემდეგ სახელოს გავკერავთ.

ქალის ჯემპრის ქსოვისას, მკერდთან ნაქსოვი გადაჭიმული რომ არ გამოგვივიდეს, შემდეგი დეტალია საჭირო. გავზომოთ მკერდის შემოხაზულობა. წინა კალთის ნაწილი გავკეცოთ ოთხ ნაწილად და გადავთვალოთ მეოთხედი ნაწილის თვლების რაოდენობა. იღლიამდე 4-5 რიგი რომ დაგვრჩება მოსაქსოვი, ნაქსოვის შუა ნაწილს (მაგ. 120 თვალიდან შუაში 60 თვალს) მოვქსოვთ, გავბრუნდებით უკან და ყოველ გადასვლაზე ხუთ თვალს ორივე მხრიდან დავამატებთ.

იგივე მეთოდით შეიძლება მოიქსოვოს სწორი კაბა. სწორი კაბის ქსოვისას თვლების რაოდენობა უნდა იანგარიშოთ თეძოს შემოხაზულობის ზომის მიხედვით. კაბის და ჯემპრის ქსოვისას რეკომენდებულია წინა კალთის თვლების რაოდენობა 8-10 თვალით მეტი ავიღოთ

**ლ. ვეკუა**



# ღიმილით...



დ. იაკობაშვილის
ფოტო

— ხომ არ იცით, სად მდებარეობს სასურსათო მაღაზია „კომკავშირული?" ვკითხე ქუჩაში შემთხვევით დამგზავრებულ ხანში შესულ ქალს.

— როგორ არ ვიცი, შვილო, სწორედ ჩემს მეზობლადაა. რომ იცოდეთ რა კარგი გოგონები მუშაობენ. საყიდელი რომ არაფერი მქონდეს მაინც შევივლი ხოლმე, თვალს უხარია. ჩემს შვილიშვილს ისე მოსწონს იქაურობა, რომ როცა გავიზრდები, მეც იქ ვიმუშავებო, გამომიცხადა, წარმოგიდგენიათ?

ასეთი რეკლამის შემდეგ, გაორკეცებული ცნობისმოყვარეობით შევათვალიერე მაღაზია. სანიმუშო სისუფთავეა. უმალ ყვავილების სიუხვე გეცემათ თვალში, გამყიდველებს ქათქათა, გახამებული ხალათები და ქუდები ამშვენებთ, იღიმებიან. უხდებათ ხალისი, ისედაც მშვენიერ ქალიშვილებს.

მყიდველები მრავლად არიან. ისინი პატარა კალათებით „შეიარაღებულან" და შიგ აწყობენ საჭირო პროდუქტებს. ხორცის სექციასთან რიგი დგას, მაგრამ არავინ „ჩხუბობს", არც ურიგოდ გასვლას ცდილობს ვინმე. გამყიდველებს ორი-სამი გოგონა ეხმარება და რიგიც სწრაფად, უხმაუროდ მიიწევს წინ.

აი, მაღაზიაში მოხუცი ქალი შემოვიდა, კალათი ნავაჭრით აავსო, მაგრამ ემძიმა. ერთ-ერთი ახალგაზრდა მყისვე წამოიჭრა და მიეშველა. მოხუცმა გულით დალოცა იგი და კმაყოფილი წავიდა.

— ასეთი შემთხვევები ჩვენთან ხშირია — სიამაყით მეუბნება № 8 მაღაზიის დირექტორის მოადგილე ნანა სიხარულიძე — სამი წელია ჩვენი მაღაზია კომკავშირულია და ჯერ არც ერთი სერიოზული დარღვევა არ მომხდარა. მადლობა კი ბევრია ჩვენი გამყიდველების მისამართით. მომხმარებლები აქებენ ლია ექიზაშვილსა და ნინო ცაგარელს, მარინე სეთურიძესა და ნინო დაშაურს, მანანა წიკლაურსა და ნინო ქურდაძეს, ნინელი ისაკოვას და ნათელა ადამაშვილს.

გოგონები სწრაფად, ყოჩაღად მუშაობენ. დროზე ისტუმრებენ მყიდველს, ცდილობენ არავინ ალოდინონ, ისინი მუდამ თავაზიანი და გულისხმიერნი არიან, თუმც ეს არც თუ ისე იოლია. აი, ერთ-ერთ მომხმარებელს უკვე მესამეჯერ შეახსენეს, კალათით ისარგებლეო, ის კი უარზეა და რატომღაც ბრაზობს. მარინე სეთურიძე მხრებს იჩეჩავს, ცოტათი იჭმუხნება, მაგრამ მაინც რბილად ეუბნება: — აიღეთ კალათი, თუ შეიძლება. პასუხად საჩივრების წიგნს ითხოვენ. „ახირებული კაცია" — ფიქრობს მარინე. გოგონებს ცალი ყური და თვალი მეგობრისაკენ აქვთ. მათაც ჰქონიათ მსგავსი შემთხვევა. მაგრამ... უნდა მოითმინო, წონასწორობა არ უნდა დაკარგო, თუნდაც ასჯერ გაგამეორებინონ ერთი და იგივე. ძნელი, პრობლემატური სფეროა ვაჭრობა. მომხმარებელთან კონფლიქტი იმით მთავრდება, რომ ბოდიშს იხდის გამყიდველი. — რას იზამ, — ისინი „გვიცნობენ", ჩვენთვის კი უცნობი არიან — მიხსნიან გოგონები, — მეოთხე თვეა რაც ჩვენი მაღაზია ექსპერიმენტულია, მაგრამ ბევრი მომხმარებელი ჯერაც ვერ შეეჩვია კალათებით სარგებლობის წესს. არადა ეს მართლაც მოხერხებული ფორმაა, რადგან მაღაზია თვითმომსახურების პრინციპით მუშაობს. კალათაში ჩაწყობილი პროდუქტი თვალსაჩინოა და კონტროლიორს სწრაფი მუშაობის საშუალება ეძლევა.

— ექსპერიმენტული იმასაც ნიშნავს, რომ როგორც საქონელი, ასევე მომსახურება უმაღლეს დონეზე უნდა იყოს — ამბობს მაღაზიის დირექტორი ზურაბ მუხიგული. შემოვიღეთ შეკითხვის ფურცლები, გვაქვს წინადადებების ფოსტა, სადაც მომხმარებლები თავიანთ მოსაზრებებსა და შენიშვნებს წერენ მომსახურების ამ ფორმის მიმართ. ყოველი თვის ბოლოს განვიხილავთ ხოლმე ამ ფოსტას და ვითვალისწინებთ მომხმარებელთა შენიშვნებსა და წინადადებებს. ჩემს ხელთაა მრავალი ბარათი, რომლებიც მომხმარებლებს შეუვსიათ:

„კარგია"... „მისასალმებელია", „მისაბაძი მომსახურებაა", „მადლობელი ვართ", „ასეთი მაღაზიები რომ მრავლად გვქონდეს, კარგი იქნებოდა", „მართალია, ამ უბანში არ ვცხოვრობ, მაგრამ მაინც ყოველთვის აქ მოვდივარ, რადგან ვიცი, რომ კულტურულად, წესიერად, პატიოსნად მომემსახურებიან, თავაზიან სიტყვას მეტყვიან, თბილ ღიმილს არ დაიშურებენ, ხურდასაც ზუსტად ჩამითვლიან..." წერენ მაკა მამულაშვილი და ეთერ ჭოხონელიძე, მიხეილ ტურაბელიძე და გელა ჭანტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენთან უდეფექტო შრომის ორგანიზაციის სისტემაა შემოღებული, — ამბობს კომკავშირის მდივანი ნელი ქიტესაშვილი — ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე ხარვეზი, ნაკლი შევნიშნეთ მუშაობისას, მყისვე გავაფრთხილებთ, შემდეგ კი პრემიას შევუმცირებთ. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები ცოტაა. კურიოზები ისევ და ისევ კალათების გამო თუ მოხდება, თორემ სხვა მხრივ მართლაც საამაყონი არიან ჩვენი თანამშრომლები, ყოველი თვის გეგმას გადაჭარბებით ვასრულებთ. თუ ადრე 4 ათასი მანეთის საქონელს ვვაჭრობდით, ახლა უკვე 6 ათას მანეთს ვვაჭრობთ ყოველდღიურად.

— ჩვენს მაღაზიაში საქონელი კონტეინერებით მოაქვთ. ეს აუმჯობესებს, აიოლებს მუშაობას, მაგრამ ერთი პრობლემაც იჩენს თავს, მარილსა და შაქრის ფხვნილს თხელ პარკებში შეფუთულს გვიგზავნიან. ქაღალდის პარკი კი ადვილად იხევა და იძულებული ვართ, სულ ცოცხი გვქონდეს მომარჯვებული — მეუბნებიან მაღაზიის თანამშრომლები და ღიმილით მითითებენ გოგონაზე, რომელიც ბუზღუნით გვის დაყრილ შაქარს.

— ეს უკვე მერამდენედ, სათქმელად თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სისუფთავის დაცვას კი აძნელებს — მიხსნიან ისინი, თან უმატებენ — გვინდა ჩვენი მაღაზია ყველაფრით სანიმუშო იყოს. რაც მთავარია, ექსპერიმენტმა გაამართლა და ეს ძალზე გვახარებს. ჩვენი სურვილია, ჩვენი რაიონის მაღაზიათა უმრავლესობა კომკავშირულად გადაკეთდეს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მაღაზიაა ჩვენი მსგავსი და მასთან სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს.

გოგონები მეგობრობაშიც „ეჯიბრებიან" ერთმანეთს. ლია ხიზანიშვილი რომ ავად გახდა, ყოველდღე მორიგეობით დადიოდნენ, ეხმარებოდნენ. ლია ეკიზაშვილს როცა წამალი სჭირდებოდა, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ზრუნავდა. ლია ეკიზაშვილი ჭკვიანი, ჩუმი, მორიდებული გოგონაა, მეგობრების მზრუნველობა ძალზე სიამოვნებს. თვალები სიხარულითა და სითბოთი ევსება. უხარია, რომ ასე უყვართ, ერთმანეთს არ აცლიან მასზე კარგის თქმას. იმასაც აღიარებენ, რომ იგი ყველაზე მომთმენი გამყიდველია, ამიტომ ქება უფრო მეტად მის სახელზე მოდისო.

ახალგაზრდულ მაღაზიას ხელმძღვანელობაც ახალგაზრდა, ენერგიული და იმედიანი ჰყავს. გოგონები მას ძალზე ემადლიერებიან. ურთიერთგაგების ნიჭი ყველას აქვსო მომადლებული. ეს კი მართლაც იშვიათი და ძალზე „დეფიციტური" ნიჭია, თანაც ესოდენ საჭირო...

გნებავთ მაღალი ხარისხის პროდუქცია, უნაკლო მომსახურება და რაც მთავარია, „ღიმილი... უფასოდ", თანაც ბევრი და ძალიან, ძალიან ლამაზი? მიბრძანდით მაღაზია „კომკავშირულში". იგი დილის რვა საათიდან ღამის ათ საათამდე მუშაობს.

**ირინე კუკავა**

## იურიდიული კუთხე

# ზოგი რამ საბინაო სამართალზე

შემოსულ შეკითხვების პასუხად

აღრიცხვისა და რიგითობის დაცვით საცხოვრებელი სადგომი ყველაზე ადრე მიეცემათ:

სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებს; დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს.

საბჭოთა კავშირის და სოციალისტური შრომის გმირებს; სამივე ხარისხის დიდების შრომის დიდებისა და „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სამშობლოს სამსახურისთვის" ორდენებით დაჯილდოებულ პირებს.

ზოგიერთ ქრონიკულ და მძიმე ფორმით (მსუბუქი ღია ბაცილებიანი ფორმა, შიზოფრენია ა. შ.) დაავადებულ პირებს.

სამოქალაქო და სამამულო ომების პერიოდში და სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში მყოფ პირებს: სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სხვა პირებს.

I და II ჯგუფის შრომის ინვალიდებს; I და II ჯგუფის ინვალიდებს — სამხედრო მოსამსახურეთ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისა, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, სოციალისტური საკუთრებისა და მართლ-წესრიგის დაცვისათვის სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის მოხდის დროს ან წარმოებაში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დიდხანს კეთილსინდისიერად იმუშავეს წარმოების სფეროში.

დედებს, რომელთაც მიენიჭათ „გმირი დედის" წოდება, მრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებს.

ოჯახებს, ტყუპების გაჩენისას.

საცხოვრებელი სადგომები ურიგოდ მიეცემათ:

მოქალაქეებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების შედეგად;

იმ პირებს, რომლებიც დაბრუნდნენ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებიდან, ნათესავებთან, მეურვეობის ან მზრუნველთან ყოფნის შემდეგ თუ მათი შესახლება წინათ დაკავებულ სადგომში შეუძლებელია.

მოქალაქეებს, რომლებსაც დაედოთ მსჯავრი და შემდეგ რეაბილიტირებულ იქნენ — თუ მათთვის წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება შეუძლებელია.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის ნორმა დადგენილია ერთ სულზე თორმეტი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

აკრძალულია მოქალაქეთა შესახლება ავარიულ და ამორტიზებულ სახლებში, სარდაფებში, ბარაკებში, სხვენ-სართულებში, დასანგრევ კაპიტალურად შესაკეთებელ ანდა, საცხოვრებლად უვარგის გამოთავისუფლებულ ფართობში არასაცხოვრებელი გადასაყვანი სახლების გათავისუფლებულ ფართობში.

აკრძალულია საცხოვრებელი სახლების სადგომების, სამრეწველო ხასიათის საჭიროებისათვის გაცემა.

საცხოვრებელი სადგომების მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება — მეუღლეთა გარდა.

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას მხედველობაში მიიღება მოქალაქის ჯანმრთელობა, ინვალიდობა, ღრმად მოხუცებულობა, გულ-სისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებები. სნეულ პირებს საცხოვრებელი ბინა ეძლევათ მათი სურვილის გათვალისწინებით, ქვედა სართულზე ან ლიფტიან სახლებში.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, თუ არის ოჯახში ორსული ქალი.

მომიჯნავე ეწოდება ისეთ ბინას, რომელსაც — წინ ან გვერდით მდებარე ოთახის გასასვლელის გარდა — სხვა გასასვლელი არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში მომიჯნავე ოთახში მეორე ოჯახის ჩასახლება არ შეიძლება.

ბინის ძირითადი დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან: მასთან მუდმივად მცხოვრები მეუღლე, მათი შვილები და მშობლები; აგრეთვე, სხვა ნათესავები და შრომის უუნარო, კმაყოფაზე მყოფი პირნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამქირავებელთან და ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ბინის დამქირავებელს უფლება აქვს (თუ აქვს სანიტარული ნორმის ფართობზე მეტი) მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობით ჩაისახლოს: მეუღლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები და შრომის უუნარო, კმაყოფაზე მყოფი პირები (არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებაზე არავისი თანხმობა საჭირო არ არის).

აკრძალულია: არაშრომითი შემოსავლის მიზნით ბინის გაქირავება, ბინის სისტემატური გაქირავების გამოვლინების შემთხვევაში კომუნალური ბინა ჩამორთმეულ იქნება სხვა ბინის მიუცემლად და უსათუოდ სასამართლოს წესით.

**თამარ ფაღავა**



# ლეგენდები ალები

საშინელი წესიდან თავის დასახსნელად ტარდება ხესთან „ნიშნობა“, თუ ქვრივი ბავშვობაში ხეზეა „დანიშნული“, მას აღარ წვავენ, ის ხომ ხის ცოლად ითვლება.

ადამიანის ფანტაზიით შექმნილი ვერც ერთი ზღვის არსება ვერ შეედრება ალს (წყლის ქალი). ის ძალიან პოპულარულია. ზოგ ლეგენდაში ალები კეთილია. მათ თურმე დაშორება ენანებათ გულის რჩეულთან, ამიტომაც ითრევენ სატრფოს ზღვის სიღრმეში. სხვა ლეგენდები კი მოგვითხრობს ალები საშინელნი არიან. ისინი დაჲხრჩვილებს ხორცებს აგლეჯენო. ზოგ ალს ბაჯაღლო ოქროსფერი თმა აქვს, ზოგს კი — მწვანე ან ცისფერი.

ზღვის ალები უმეტეს შემთხვევაში ლამაზები არიან, ნახევრად თევზები, ნახევრად ქალები, ცალ ხელში სარკე უჭირავთ, მეორეთი თმას ივარცხნიან. ზოგს ქაშაყის ბოლო აქვს, ზოგს დელფინისა, ზოგსაც გველთევზასი. ამბობენ, ალებს ზღვისდარად სული არ გააჩნიათო. სულს მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ, თუ კაცს ჩაითრევენ და ქმრად დაისვამენო.

წარმართული დროის ალები თანდათან შეეპარნენ ქრისტიანულ სიმბოლიკას, ისინი ცოდვილ ცთუნებებს ანსახიერებენ: თევზის ბოლოთი ეხვევიან ტაძართა სვეტებს, მუხის სკამ-მერხებს.

დიდი საზღვაო აღმოჩენების ეპოქაში, ეკლესია თავისებურად უჭერდა მხარს ამ ლეგენდებს. წადილით შეპყრობილი მეზღვაურები უფრო შორს და შორს ცურავდნენ — უცნობი მიწებისაკენ, აურაცხელი საგანძურისაკენ. ზღვის ქალებზე თვით ქრისტეფორე კოლუმბის დღიურშიც კი სწერია: ერთმა მეზღვაურმა თურმე ადმირალს უამბო: „ზღვის ტალღებზე მოცურავე სამი ალი დავინახეთ, არც ისე ტურფები იყვნენ, როგორადაც ხატავენ ხოლმე, მაგრამ ადამიანებს კი მართლა ჩამოჰგავდნენ. ალი და მისი საბედისწერო სიყვარულის თემა განსაკუთრებით იზიდავდა მე-19 საუკუნის რომანტიკოსებს. ამდენად, ხალხურ გადმოცემა-ლეგენდათა გვერდით, ლიტერატურაშიც ბევრი სირინოზი და ალი შეიქმნა: ზოგნი მჴეთუნახავებივით ლამაზნი იყვნენ, ზოგნი კი სპეტაკი უმანკოებით ხიბლავდნენ მკითხველს.

ალების თემა მხატვართა შთაგონების წყაროდაც იქცა. მხატვარი სიურეალისტები უცნაურად რთავდნენ და კაზმავდნენ მათ.

ალები ყოველდღიური მოხმარების ნივთებსაც დაეპატრონნენ (თუნდაც საფერფლე).

დღეს, ალთა უძველესი მითები მხოლოდ სუვენირებში ცოცხლობს: ისინი იყიდება პორტებსა და ზღვის კურორტებზე, გვხვდება მეზღვაურთა ტატუირებზე.

* * *

ნეპალში ნიშნობის ასეთი ჩვეულება არსებობს — 8-12 წლის გოგონას ხეზე ნიშნავენ. ამის მიზეზი ეს მრავალსაუკუნოვანი ინდუისტური ტრადიცია. გარდაცვლილი ქმართან ერთად უნდა დაიწვას მისი ქვრივიც. ამ

# იქნებ ყოველთვის?

იტალიაში არა და არ გაუვიდა მოდა ჰოროსკოპს, ყველას სურს განჭვრიტოს თავისი ბედი, მიიღოს მომავალი ქმედებისათვის კონკრეტული რჩევა-დარიგება. ამიტომაც ქვეყანა უამრავი მკითხავით არის სავსე. ექიმბაშთა 10 ათასიანი ლაშქარი ხელს ჰკიდებს იშიაზისა და კუჭის წყლულის მკურნალობას, გულდამწვარ მიჯნურთა საშველს. ბევრი სამხრეთ იტალიელი მიმართავს მაგიურ საშუალებას, განსაკუთრებით „ცუდი თვალისაგან“ შელოცვას. დიდი მოთხოვნაა სიყვარულის აღმძვრელ მოსაჯადოებელ მცენარეებზე. მაგიკოსთა რიგებს მრავალი „ყოფილი“ მიეკედლა, ეკლესიის ყოფილი მსახური და ერთი ყოფილი გენერალიც კი.

80-იანი წლების დასაწყისში, ცრუმორწმუნე იტალიელები ხირომანტთა კონსულტაციებზე 25 მილიარდ ლირას ხარჯავდნენ. დღეისათვის ეს ციფრი უფრო გაიზარდა.

როგორ ხსნიან ამ მოვლენას სოციოლოგები? უპირველეს ყოვლისა, როგორც აწმყოსადმი უნდობლობას და როგორც მომავლისადმი შიშს.

გარეკანის პირველ გვერდზე — საბჭოთა კავშირის კომპარტიის 27-ე ყრილობის დელეგატი, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშა ნიაზი გოშნიაშვილი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — თბილისის ხედი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბაჟრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეჭირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 6. 01. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 02. 86 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000 შეკვ. 30 უე 05028



ვ. ბანბიურის ფოტო

ანსამბლ „საქართველოს“ მოცეკვავე გოგონები

67/36



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ.